# სამტრედიის მაცნე

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N31 (9175) 12 ნოემბერი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

## წვიმდა და წვიმდა თავგამეტებით

თითქმის სამი დღე და სამი ღამე გადაუღებლად წვიმდა.

შეხვედრა წარსულთან, წინა წლები გაგვახსენა ქალაქის დატბორილმა ცენტრალურმა ქუჩებმა.

12 ნოემბერს დილის 10 საათისთვის ასე გამოიყურებოდა რესპუბლიკის ქუჩის ერთი მონაკვეთი.

გადაუღებელმა წვიმებმა, სტიქიამ პრობლემები მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მცხოვრებთაც შეუქმნა.

რაც ვიზამთ, ბუნება მართლაც რომ მბრძანებელია!

ლევან გაბეჩავა

## "ბერლინის კედელი" გოგში

### მდინარე თვითონ გამოცდის ხარისხს

## ლარმა ლარივით დაჭიმა ნერვები, ანუ ბაყაყი ხალიჩაზე

2

6

## ისინი, "სამტრედიის მაცნეს" მკითხველთა ჯგუფის წევრობა რომ ბრალდებათ

## ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების პაექრობა გრძელდება...

## 85 წლის მემატიანეს ვადმოსახედიდან

5

## გასულ წელს 41 იყო, წელს 47-ია

3

## თბილისში "ხესთავი 2"-ის"მხარდასაჭერ აქციაზე სამტრედიიდანაც ჩავიდნენ

## ახალბედა ჯარისტების წარმატება

# "ბერლინის კედელი" გომში

## მდინარე თვითონ გამოცდის ხარისხს

**თეა ბაბუნაშვილი**

**კაპიტონამ წესით პრობლემა ვეღარ უნდა შეუქმნას გომელებს. ნუ, ვეღარ თუ არა, ნაკლებად მაინც. გომში ამისთვის ყველაფერი კეთდება. ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც იმდენჯერ დავწერეთ ამ პატარა მდინარის თავაშვებულობის ამბავი, მკითხველს დაწვრილებით აღარ ვუხსნით, ადიდებული კაპიტონა რა სისაძაგლეებს სჩადის.**

მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ მის მოადგილეებსა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარ სპეციალისტ ავთო ნაცვლიშვილთან ერთად თითქმის ფეხით დაიარა ყველა ის ადგილი, სადაც კაპიტონას გაფუჭებული საქმეები გამოასწორეს მშენებლებმა. აქ სიარული ჟურნალისტების გარეშეც გვიწევსო, _ გამგებელმა.

გომის თემში გამგებლის წარმომადგენელი, ზაზა ნიკოლეიშვილი და სპეციალისტი არსენ თავაძე თან ახლდნენ ქალაქიდან სოფლად ჩასულ ხელმძღვანელებს. გომელი ნაუმი ბექაიასა და ზელიმხან არაბიძის პრობლემა უკვე მოგვარებულია. ნაპირსამაგრი სამუშაოები შესრულდა და კაპიტონა ისეთ არტახებში მოექცა, ადიდებულ-გადარეულიც კი, ზიანს ვეღარ მიაყენებს არა მარტო ამ ორ, იმ ათ ოჯახსაც, აქამდე ყველა ლანქერობისას რომ უქმნიდა პრობლემებს. "პატრონი რომ არ გამოსჩენოდა, წელს ამ სახლს წაიღებდა", _ ამბობს ნაუმი ბექაია და ჯერ ისევ მოუთავებელ ორსართულიან შენობაზე გვითითებს. "ბერლინის კედელი" კი იმ რკინა-ბეტონის კონსტრუქციას დაარქვეს გომში, ზელიმხან არაბიძის სახლის უკან რომ გაკეთდა და მართლაც საშვილიშვილოდ მოწყობილი გაბიონია.

პრობლემა ნუნუ ჩიტეიშვილის სახლის წინ გასადებ ხიდთან დაკავშირებით მაინც რჩება. როგორც მას არწმუნებენ ჯერჯერობით, თორემ მუშაობა ამ საკითხზეც მიდის. თავშეუკავებელი კაპიტონას ყველა ადიდება სახელდახელოდ გადებულ ხიდს იტაცებს და სახლამდე ვერ მიდის მდინარის ნაპირზე მცხოვრები ოჯახი. ხიდის კონსტრუქცია თავად ოჯახს აქვს შეძენილი. საჭიროა იმ ადგილზე გაბიონის მოწყობა, სადაც უშუალოდ უნდა გაიდოს იგი. ეს დამატებით 5 ათას ლარზე მეტის ხარჯია. თანხას მოძიება სჭირდება. "9 წელია, ეს პრობლემა მაწუხებს. მოდიან, სურათებს უღებენ ჩემს ეზოს და მიდიან, ნეტავ, ასე ლამაზია ვიზუალურად. ტყუილი დაპირება არ მინდა, თუ მოინდომებთ, გაუკეთებელი აქ არაფერია." _ მწარე ღიმილით ამბობდა ოჯახის პატრონი. "აქ დამატებითი გაბიონი უნდა მოეწყოს და ზედ შემოიდება ხიდის კონსტრუქცია. ამისთვის არის თანხა გამოსაძებნი. იქნებ, მარტი-აპრილისთვის შევძლოთ ამაზე მუშაობის დაწყება." _ ამბობს გომში გამგებლის წარმომადგენელი ზაზა ნიკოლეიშვილი.

სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი ხაჟალია შესრულებული სამუშაოების ხარისხით იწონებდა თავს და გუბერნატორის მადლობასაც იშველიებდა, ტოლებში დასრულებულ სამუშაოებთან მიმართებაში ნთქვამს. ამჯერად, 275 ათასი ლარის მოცულობის სამუშაო შესრულდება, დაახლოებით 400 მეტრზე, თუ მეტი არა, 4-დან 2 მეტრამდე სიმაღლის გაბიონი მოეწყობა, რომლის ხარისხიანობასა და გამძლეობასაც, როგორც ვალერი ფოცხვერიამ აღნიშნა, მდინარე თავად გამოცდის. თანხა ინფრასტრუქტურის სამინისტროს სტიქიით დაზარალებულთა ფონდიდან გამოიყო. სამტრედიას საერთო ჯამში მილიონ 400 ათასი ერგო. აქედან გომში 400 ათასი დაიხარჯება. გარდა ამისა, ამ ფონდიდან გამოყოფილი თანხით ტოლები-ბულნარასა და ნოღის ხიდების, ხევისწყალას გაბიონის და კიდევ სხვა არაერთი პრობლემა მოიხსნება.

"აქ გაბიონი კომუნისტების დროს არის გაკეთებული. მაშინ ამის შესაძლებლობა იყო. მის მერე მდინარემ მისი გაიტანა, მით უმეტეს, რომ შეკეთებითაც არაფერი შეკეთებულა. ამჯერად დავიწყეთ კაპიტალურად და რაც მთავარია, ხარისხიანად კეთება იმისა, რაც 30 წელია არ გაკეთებულა. ეს გაბიონები რომ არ მოწყობილიყო, წელს წყალი წაიღებდა ამ ოჯახებს და ეზოებს. სამუშაოები ამით არ სრულდება, პრიორიტეტების მიხედვით მომავალშიც გაგრძელდება. მათ მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურთან ერთად, ჩემი მოადგილე მამუკა თავაძე კურირებს." _ აღნიშნავს ვალერი ფოცხვერია.

გომში გაბიონების მშენებლობა ამ ეტაპზეც გრძელდება. მისი ჩაბარების ბოლო ვადა 30 ნოემბერია. ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ, კაპიტონას თავშეუკავებლობა მნიშვნელოვნად თავშეკავებული გახდება.

## ლარმა ლარივით დაჭიმა ნერვები, ანუ ბაყაყი ხალიჩაზე

მიმოქცევაში შემოსვლის-დაბადების 20 წლისთავს ეროვნული ვალუტა კურსდაცემული, გაუფასურებული შეხვდა.

ლარის კურსის ვარდნამ უარყოფითად იმოქმედა მასებზე.

რაოდენ საკვირველია, რომ ამ ფონზე ლარის გამყარების მიუხედავად, აქცენტირება კუპიურების დიზაინის განახლებაზე კეთდება, რაც ხალხის მასისათვის არაფრის მიმცემია.

ერთი ცნობილი, თუმცა რამდენადმე უხერხული გამოთქმისა არ იყოს _ ბაყაყი ხალიჩაზეც ბაყაყია და ყველა შემთხვევაში ყიყინს მოჰყვება გალობის ნაცვლად.

ასე რომ, დიზაინის შეცვლა ვერანაირად ვერ გაამყარებს ლარს.

გვაპატიონ იმ სახელოვან ერისკაცთა ზეცად ამაღლებულმა სულებმა განახლებული ლარის კუპიურებზე რომ იქნებიან გამოსახულნი, მაგრამ ჯობდა ის თანხა, რაც ახალი კუპიურების ახალი დიზაინის შექმნაზე უნდა დაიხარჯოს, ლარის რამდენადმე მაინც გამყარებას მოხმარებოდა.

თქვენ როგორ ფიქრობთ?

**ლევან გაბეჩავა**

## დარჩენილ სამუშაოებს უამინდობა აფერხებს

რეგიონალური განვითარების ფონდით დაფინანსებული ობიექტებიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დარჩენილია გაღმა ზონის წყალმომარაგების სამუშაოები და ქალაქის ტერიტორიაზე არსებული არხების რეაბილიტაცია. ცნობისთვის, მაღალმთიან სოფლებთან დაკავშირებით გამოყოფილი იყო 681 000 ლარი, ხოლო სანიაღვრე არხებზე _ 250 000 ლარი. ტენდერების შედეგად მიღებული იქნა ეკონომია. ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოები ორივე მიმართულებით ნოემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს.

ზურაბ გოგია, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: "რომ არა ხშირი წვიმები ზემოაღნიშნული სამუშაოები შესაძლებელი იყო, ვადაზე ადრე დაგვესრულებინა. ტოლების თემში, სოფელ ვაზისუბანში სარეაბილიტაციო წყლის მაგისტრალი ნავთობსადენის მაგისტრალს კვეთავდა. აუცილებლობას წარმოადგენდა ნავთობსადენის კომპანიიდან შესაბამისი თანხმობის წერილი, რასაც, დაახლოებით, 20 დღე დასჭირდა".

ამდენად, რგფ-ის პროგრამით სამტრედიის მუნიციპალიტეტში დასრულებულია 10 ობიექტი და ორი დამთავრების სტადიაშია. რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს, წელს დაგეგმილი იყო 150 ობიექტის რეაბილიტაცია. ძირითადი სამუშაოები დასრულებლია. დარჩენილია მხოლოდ ნაწილი გზების, მოხრეშვითი სამუშაოები, რომლის მიზეზი ისევ უამინდობაა.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფლებში, კერძოდ, ტოლებსა და გომის თემებში სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენითი სამუშაოები. როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი განმარტავს: "რაც მთავარია, სოფელ ტოლებში დაწყებულია ტოლები-ბულნარას დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სამუშაოები. ხიდს მთლიანად გაუკეთდა დემონტაჟი. მიმდინარეობს ბურჯების ამოყვანა. ტოლები-ბულნარას დამაკავშირებელი ხიდი არის გარდამავალი ობიექტი, მისი დასრულება 2016 წელს მოხდება.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2015 წელს ნარჩენ ეკონომიებზე ტარდება სოფლის კრებები, რომელიც მიმდინარე კვირის ბოლოს დასრულდება. ამის შემდეგ სოფლების წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურში წარმოადგენენ კრების ოქმებს. ამის შემდეგ კი დაიწყება სამუშაოების დაგეგმვა, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება. პარალელურად დაწყებულია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2016 წელს განსახორციელებელ პროექტებზე კრებების ჩატარება".

**ნინო ნანიტაშვილი**

## როცა საქმე მუნიციპალიტეტის ინტერესს ეხება...

**ლევან გაბეჩავა**

2 ნოემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ნუგზარ ჯამბურია უძღვებოდა, ერთობ დატვირთული იყო განსახილველი საკითხებით.

მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ კოლეგებს დღის წესრიგი გააცნო და პირველი საკითხის განხილვა უნდა დაწყებულიყო, საკრებულოს წევრმა "ერთიანი ნაციონალური" მოძრაობიდან ბატონმა ავთანდილ თადუმაძემ გააკეთა განცხადება, რომ ოპოზიციურ პარტიებზე თავდასხმა (ამ შემთხვევაში "ნაციონალების" ოფისებზე გაკეთებულ წარწერებს გულისხმობდა) მუნიციპალიტეტის გამგეობაში იგეგმებოდა. განცხადებას ცხარე ურთიერთშელაპარაკება მოჰყვა, რაც საკრებულოს თავმჯდომარის თხოვნით მალევე განეიტრალდა.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა დღის წესრიგის პირველ საკითხზე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანალიზს რომ ითვალისწინებდა.

ამჯერად მოსაზრება საკრებულოს წევრმა ("ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"), ბატონმა მამუკა ბიბილეიშვილმა გამოთქვა.

დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ მარტო ციფრები არ იქნებოდა წაკითხული, აქ უნდა იყოს გამგებელი შესაბამისი ინფორმაციით, თუ რისი გაკეთება იქნა შესაძლებელი და რა სამუშაოები იგეგმება სამომავლოდ. _ აღნიშნა მან. ყველა საკითხი გავლილია ფინანსურ გუნდთან და შესაბამის სტრუქტურებთან. _ უპასუხეს უმრავლესობის წარმომადგენლებმა.

დღის წესრიგში დასმულ საკითხთა ირგვლივ საკრებულოს ბატონებმა ჯონი ახობაძემ, მერაბ უღრელიძემ, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ მოახსენეს.

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის სახელდებისა და სიმბოლიკის დროებითი კომისიის შემადგენლობა.

დაბოლოს, ამჯერად თვალშისაცემი, შესამჩნევი იყო, რომ რიგ საკითხთა ირგვლივ განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, როგორც ოპოზიცია, ისე პოზიცია საერთო აზრს იზიარებდნენ, რამეთუ საკითხი სამტრედიისა და სამტრედიელების ინტერესებს ეხებოდა, რაც უდავოდ მისასალმებელია.

საკრებულომ განხილულ საკითხთა ირგვლივ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

# თბილისში "ხუთავი 2"-ის"მხარდასაჭერ აქციაზე სამტრედიიდანაც ჩავიდნენ

ნინო ნანიტაშვილი

***სოციალურ ქსელში დაიდო სამაუწყებლო კომპანი "რუსთავი 2"-ის ეზოში გადაღებული ფოტოები, რომლებზეც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის წევრები არიან აღბეჭდილნი. კერძოდ, ემზარ შუბლაძე, მამუკა ბიბილეიშვილი, ვივი ღაღანიძე, ავთანდილ თადუმაძე, ზურაბ ზაქარიაძე, რამაზ თევზაძე, მამუკა ნიკოლეიშვილი, ალეკო ნინუა და სხვები.***

***"სამტრედიის მაცნე" რამდენიმე მათგანს ტელეფონით დაუკავშირდა.***

11 ნოემბერს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის თქმით, სამტრედიიდან 10 ნოემბერს, დაახლოებით, 25 კაცი გაემგზავრა, რათა "რუსთავი 2"-ის მხარდასაჭერ აქციაში მონაწილეობა მიეღო. ემზარ შუბლაძე განმარტავს, რომ სამტრედიელი აქტივისტების პროტესტი მოსამართლე თამაზ ურთმელიძის გადაწყვეტილებას მოჰყვა:

"10 ნოემბერს დილით თბილისისაკენ გამოვემგზავრეთ, აქციაზე, დაახლოებით, 25 სამტრედიელი ვიმყოფებით. გამოვხატავთ მხარში დგომას სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ არა მარტო ჩვენი, მთელი ქართველი ხალხის მოვალეობაა, თავისუფალი სიტყვა დაიცვას.

მე, როგორც იურისტი, შეძრწუნებული ვარ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც მოსამართლე ურთმელიძემ "რუსთავი 2"-ის საქმესთან დაკავშირებით გამოიტანა და რომლის მიხედვითაც აღნიშნული ტელეკომპანია მთელი ქონებით ქიბარ ხალვაშს მიეკუთვნა. მიმაჩნია, რომ ეს არის დარღვევა სამოქალაქო კოდექსით, კანონით "მეწარმეთა შესახებ" და ქვეყანაში, რაც კანონმდებლობა არსებობს, აბსოლუტურად ყველა დარღვეულია მოსამართლე ურთმელიძის ამ გადაწყვეტილებაში.

ამას ემატება ხელისუფლების მხრიდან პროცესებში ჩარევა, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატა მოსამართლე ურთმელიძის მიერ ახალი განჩინების გამოტანით, რომლის მიხედვითაც მან უფლება შეუწყვიტა "რუსთავი 2"-ის მმართველებს და მათ ნაცვლად დაინიშნენ რევაზ საყევარიშვილი და დავით დვალი. მათგან ერთ-ერთი ჩვეულებრივი მხარეა წინა გადაწყვეტილებაში. და რაც ყველაზე უფრო შემაშფოთებელია, მოსამართლე ურთმელიძე მედიას უწესებს, რა უნდა გააშუქოს და რა _ არა. ანუ, ფაქტობრივად, "რუსთავი 2"-ზე ხორციელდება ცენზურა. სწორედ ამან განაპირობა ტელეკომპანიის მმართველების შეცვლა.

მე დღეს თბილისში ვიმყოფები არა როგორც "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქე, რომელიც ვალდებულია, სიტყვის თავისუფლება დაიცვას. თუ ამ ხელისფლებამ შეძლო და დაადუმა "რუსთავი 2", ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში თავისუფალი სიტყვა საბოლოოდ დასამარდება. ეს სცენარი ერთი-ერთში არის გადმოღებული ნტვს ირგვლივ განვითარებული მოვლენებიდან. მაშინ მივიღეთ ის, რომ თავისუფალი არხი, რომელიც ობიექტურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, გახდა ხელისუფლების რუპორი. იგივეს აპირებენ "რუსთავი 2"-თან მიმართებაში.

ჩვენი მთავარი მიზანია, "რუსთავი 2"-ის ეზოში არ მოხდეს ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი შეჭრა, რომლის შესახებაც ინფორმაციას ვფლობთ.

11 ნოემბრის დილის მდგომარეობით "რუსთავი 2"-ის ეზოში, დაახლოებით, 400-მდე კაცია. წუხელ ღამით 200-მდე აქტივისტი დავრჩით და გავათენეთ ღამე. ვაპირებთ, ბოლომდე გავაგრძელოთ ბრძოლა".

"სამტრედიის მაცნეს" იმავე დღეს აქციის კიდევ ერთი მონაწილე დაუკავშირდა. მამუკა ბიბილეიშვილი "რუსთავი 2"-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს მედიაზე თავდასხმას უწოდებს: "რუსთავი 2"-ის მხრდასაჭერ აქციაზე მეც ვიმყოფები. საქართველოს ყველა კუთხიდან გვიერთდებიან მოქალაქეები. აქ არ არის ვიწრო პარტიული ინტერესები. მოდიან უბრალო მოქალაქეები, ვინც თვლის, რომ საქართველოში თავისუფალ სიტყვას ასპარეზი უნდა ჰქონდეს. ამ აზროვნებით უერთდებიან ისინი აქციას. მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ხელისუფლებას არ უნდა ეპატიოს მედიაზე თავდასხმა. თავს ვერ მოვიტყუებთ, რომ "რუსთავი 2"-ის შემთხვევა არის მხოლოდ ქონებრივი დავა და არა თავდასხმა თავისუფალ მედიაზე. ზუსტად ამის დასაცავად ჩამოვედით სამტრედიიდან და ვიქნებით მანამდე, სანამ პროცესები კანონიერ ფარგლებში არ ჩაჯდება. თუ კი ეს პროცესი კანონის ფარგლებში არ ჩაჯდა, მივიღებთ იმ შედეგს, რაც მიიღო რუსეთმა: ნტვ-ს სახით დაკარგა თავისუფალი მედიასაშუალება".

# გასულ წელს 41 იყო, წლეულს 47-ია

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი, რომელიც წარჩინებული მოსწავლეების კომპიუტერებით დასაჩუქრებას გულისხმობს, რამდენიმე წელიწადია, წარმატებით მიმდინარეობს. წლეულს სამტრედიის მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში უდავოდ ლიდერობს ასეთი წარჩინებული მოსწავლეების სიმრავლით. საჯარო სკოლის იმ მოსწავლეებს, რომელთა წლიური შედეგი მე-7, მე-8 და მე-9 კლასებში შეფასების ათბალიანი სისტემით შეფასდა, სახელმწიფო კომპიუტერით ასაჩუქრებს. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლში, სადაც კომპიუტერების განაწილება მიმდინარეობდა, დარბაზი იმერეთის რეგიონში მცხოვრები მეათეკლასელებით და მათი გულშემატკივრებით იყო სავსე. ვანის, ბაღდათის, ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის საჯარო სკოლების მოსწავლეთა დასაჩუქრების შემდეგ სამტრედიელი მოსწავლეების ჯერი დადგა. ჩვენს მოსწავლეებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი, თინა ხარძიანიც ახლდნენ. ქალბატონ თინას ორმაგი სტატუსით მოუწია მოსწავლეების გულშემატკივრობა. მისი შვილი ბარბარე მიქლეთაძეც წარჩინებულთა რიგებშია.

"მინდა მივულოცო ჩვენს მოსწავლეებს, მიხარია, რომ სამტრედიელი მოსწავლეები იმერეთში ლიდერობენ ამ თვალსაზრისით. ვულოცავ ყველას. ეს პატარა ჯილდო არ არის. ეს არის დადასტურება და გამოხატულება იმისა, რომ ნიჭიერება არ იკარგება და დაფასებულია ჩვენს ქვეყანაში. კარგი ახალგაზრდობა და კარგი მოსწავლეები გვყავს. წარმატებას ვუსურვებ ჩვენს მოსწავლეებს, პედაგოგებს და მათ მშობლებს". _ გვითხრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, რომელმაც სცენიდანაც მიმართა შეკრებილთ და თავადვე გადასცა კომპიუტერები წარმატებულ სამტრედიელებს.

საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი, პედაგოგი ალექსანდრე თევზაძე: "ჩვენ 47 მოსწავლე გვყავს წლეულს, ერთ-ერთი მოწინავე ვართ იმერეთის რეგიონში. ყველა მოსწავლეს ვულოცავ, ვინც ამ პროგრამით კომპიუტერი მიიღო, ეს პროგრამა დიდი ხანია და წარმატებით მუშაობს. მადლობა მოსწავლეებს, მშობლებს, გასულ წელს 41 მოსწავლე დასაჩუქრდა, წლეულს 47".

თინა ხარძიანი" "პირველ რიგში, ვულოცავ მოსწავლეებს ამ წარმატებას, ეს მათი შრომის შედეგია და არა მარტო მათი, პედაგოგების. ჩემი ემოცია დღეს განსაკუთრებულად მაღალია, რადგან ეს საჩუქარი წილად ხვდა ჩემს ქალიშვილსაც. მადლობა ამისთვის განათლების სამინისტროს, მადლობა ჩვენს სახელმწიფოს, რომ ასეთი წამახალისებელი საჩუქრებით აჯილდოვებენ წარჩინებულ მოსწავლეებს. როგორც მაჟორიტარი დეპუტატის, გიორგი კახიანის ბიუროს ხელმძღვანელი, ვულოცავ სამტრედიის მუნიციპალიტეტის იმ მოსწავლეებს, რომელთაც კომპიუტერები მიიღეს, ვუსურვებ წარმატებებს და დარწმუნებული ვარ, მათ ცხოვრების ასპარეზზე კიდევ მეტი სიურპრიზი, ჯილდო და საჩუქარი ელოდებათ".

ვუერთდებით კეთილ სურვილებს და ვუსურვებთ ჩვენს მუნიციპალიტეტს, ნიჭიერი და წარჩინებული მოსწავლეების სიმრავლით ქვეყნის მასშტაბით ეპირველოს!"

# ძმობის საფლეგრძელო იყოს!..

***"...რამეთუ გუასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს იხსნეს საღმრთოთა სჯულთათვის ტომმან ებრაელთაგან".***

**გიორგი III**
**მეფე ქართველთა**

ახალს ვერაფერს ვიტყვით, არც გვაქვს პრეტენზია, რამეთუ საუკუნეთა ფოლიანტებში მრავალჯერ თქმულა, დაწერილა, უმღერიათ ქართულ-ებრაულ შეუბღალავ, გაუხუნარ, უღალატო მეგობრობაზე.

მარადის დევნილობა არგუნა ბედმა ებრაელ ერს, უხსოვარი დროიდან დასახლდა მათ ერთი ნაწილი საქართველოში და, ასე გახდა ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო მეორე სამშობლო მათთვის.

უჭირდა ებრაელს?
უჭირდა ქართველს...
ილხენდა ებრაელი?
ხარობდა ქართველი...

ყველაფერია ნათქვამი ამ რვა სიტყვით, უბრალოდ, სადად, გულწრფელად...

სამ საუკუნეზე მეტხანს ცხოვრობდნენ ებრაელები კულაშში, ერთად ვსწავლობდით ქართველი და ებრაელი ბავშვები კულაშის მკურნალის სახელობის საშუალო სკოლაში.

არავინ ახსენებდა მაშინ ერთგვარად მოდურ სიტყვას _ ტოლერანტობა, თუმცა, ბუნებითა და მოწოდებით ტოლერანტმა ჩვენმა დირექტორმა, აკაკი ჯამბურიამ ბრწყინვალედ იცოდა ფასი მეგობრობისა და დაუვიწყარ მოგონებად აქცევდა ისრაელში ყოველი ებრაელი მოსწავლის წასვლას.

წავიდნენ ებრაელები საქართველოდან, თუმცა, დარჩა გაუხუნარი, წრფელი მეგობრობის მოგონებები, მაგალითები, რომლითაც ბევრმა ერმა შეიძლება იამაყოს.

"მხოლოდ ერთგან, ერთადერთ (ერთადერთი-მეთქი), დედამიწის მცირე ნატეხზე, შეეძლოთ ისრაელიანებს ეცხოვრათ, ეშრომათ, ეცინათ და ეტირათ თანაბარი სწორპატიობით იქაურ მკვიდრ ხალხთან ერთად:

თანა _ დგომით,
თანა _ შრომით,
თანა _ ბრძოლით,
თანა _ ლხინით,
თანა _ ჭირით,
თანა _ სიცოცხლით,
თანა _ სიკვდილით.
იმ ხალხს ერქვა _ ქართველობა.
იმ მიწის ნატეხს _ საქართველო, ანუ შუბლი დედამიწისა".

წერდა მოსეს შობიდან 3560 წელს, ქრისტეს შობიდან 1990 წელს ცნობილი მეცნიერი, სასიქადულო მამულიშვილი, ისტორიკოსი ლევან სანიკიძე.

უკეთესი რაღა უნდა ვთქვათ?

მეხთა ტეხვით, ტკბილ-მწარე მოგონებებით გასულა 26 საუკუნე ქართულ-ებრაული თანაცხოვრებისა, უბრალოდ, მეგობრობისა და დაწყებულა ახალი საუკუნე _ ოცდამეშვიდე...

***ლევან გაბეჩავა***

# ტოლების თემი – ფოლკლორული ტურნირის მასპინძელი

ნათია ნაცვლიშვილი

სასოფლო კლუბების მიერ წამოწყებული კულტურული ტურნეს მორიგი გაჩერება ტოლებია. ამ თემში შედის სოფლები: ნოღა, ზემო ნოღა, ქორეისუბანი, ტოლები, ზემო ტოლები. პროექტის მთავარი მიზანი ხომ კულტურულ ღონისძიებათა სოფლებში, ადგილებზე გატანა, ამ სოფლების წეს-ჩვეულებათა გაცნობა და ურთიერთშორის მეგობრული ძაფების გაბმაა. "მეგობრობა გზად და ხიდად" შემთხვევით არ აურჩევიათ დევიზად მუნიციპალიტეტის სასოფლო კლუბების ხელმძღვანელებს. პროექტის იდეის ავტორები მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ვეფხია ნადირაძე არიან.

ისევე როგორც ოფეთში, ამჯერადაც პირველად ტაძარს ვეწვიეთ. ნოღის წმინდა გიორგის ეკლესია მე-19 საუკუნის ბოლოს და მეოცის დასაწყისშია აგებული, რესტავრაცია 1985-2000 წლებში ჩაუტარდა. კულტურის ცენტრთან არსებულ ანსამბლ "ათინათის" წევრები ტრადიციულად შესანიშნავად გალობენ და განწყობას გვიმაღლებენ. შემდეგ იქვე მდებარე აკაკი შანიძის სახლ-მუზეუმს ვსტუმრობთ. იმ ფერდობებზე დავდივართ, სადაც ბავშვობა გაატარა ქართული ენათმეცნიერების პატრიარქმა. ამ ბუმბერაზი ქართველის შესახებ სკოლის დირექტორი, ქალბატონი ციალა ძნელაძე გვესაუბრება.

შემდეგ ნოღისა და ტოლების სასოფლო კლუბების ერთობლივ ღონისძიებაზე ტოლების მუსიკალურ სკოლაში გვეპატიჟებიან მასპინძლები: ომარ და გულნაზ ეცადეიშვილები. ღონისძიებას ხელისუფლების წარმომადგენლებიც უერთდებიან და სოფელი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აქ მართლაც ზენიჭიერი, მუსიკალური და საოცრად თბილი ხალხი ცხოვრობს. პედაგოგების: ბადრი კვანტალიანის, მაია ნიკოლეიშვილის, ნანული ზიკოპულოსა და ნათია კეშელავას მოსწავლეები თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ მსმენელის წინაშე. მაღალ დონეზე ააჟღერეს როგორც გენიალურ ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, ისე ფოლკლორული მარგალიტები. შესრულდა მოცარტის "მენუეტიც".

ღონისძიება კულტურის ცენტრის მეთოდისტმა, ციალა სტურუამ გახსნა და აღნიშნა: "ჩვენი მუნიციპალიტეტის სასოფლო კლუბები დიდი კულტურის მქონე კერებია, ამ სასოფლო კლუბების ბაზაზე აღიზარდნენ დიდი მამულიშვილები, ღირსეული ქართველები, ამ თემში აღიზარდა ბუმბერაზი აკაკი შანიძე, ჩვენი საკლუბო დაწესებულებები ტრადიციულად ატარებდნენ ყოველი წლის ბოლოს საჩვენებელ ღონისძიებებს კულტურის სახლში, გადავწყვიტეთ, სოფლებში გაგვეტანა ეს ღონისძიებები და არც შევმცდარვართ, ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო". მანვე მიულოცა ქალთა ანსამბლ "ათინათს" სულ ახლახან ქუთაისში გამართული ხალხური სიმღერების ფესტივალზე მოპოვებული წარმატება.

ტოლების სასოფლო კლუბის ხელმძღვანელმა გულნაზ ეცადეიშვილმა ტოლების ისტორია მიმოიხილა. მისი თქმით სახელწოდება ტელეფისის ციხესიმაგრიდან მოდის. შემდეგ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს კულტურის სახლის აწ გარდაცვლილი დირექტორის, მამია კეშელავას ხსოვნას. ქალბატონმა გულნაზიმ ამ კუთხიდან წასული ღირსეული ადამიანების შესახებ ისაუბრა და დაასახელა აკაკი შანიძე, ალექსანდრე შანიძე, პროფესორი რეზო ძნელაძე, გენერალ-მაიორი თემურ ლორია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ზაზა რუხაძე და სხვები. მისივე თქმით ტოლების მცხოვრებმა ანზორ გოგოლაძემ და ტარიელ კოპალეიშვილმა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს თავი.

ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გამოხატა ტოლების სამუსიკო სკოლის დირექტორმა იური შანიძემ თავის სიტყვაში. მან მადლიერება გამოთქვა გაკეთებული საქმეების გამო: "რაც ჩვენს სოფელში გაკეთდა ბოლო წლებში, ათწლეულების განმავლობაში არ გაკეთებულა. გაზი, წყალი, გზები... ვეძებ სოფლად გამგებლის წარმომადგენელს, ალეკო ბოცვაძეს მადლობის სათქმელად და ვერ ვპოულობ, რადგან მუდამ საქმის საკეთებლად არის წასული". _ ბრძანა მან და თავადაც შეავსო ამ კუთხის ღირსეული შვილების სია: გომარ სიხარულიძე, ჭოლა თევზაძე, როზენ მაჭარაძე... ზემო ნოღის სასოფლო კლუბის ხელმძღვანელმა ომარ ეცადეიშვილმა კლუბის ისტორია შეგვახსენა. მისი თქმით 1976 წელს აიგო ნაგებობა და სოფლის დიდი დამსახურებაა, რომ შენობას ძალიან კარგად უვლიან. ბატონმა ომარმა ხელისუფლების წარმომადგენლებს უშუქობის პრობლემის მოგვარების თხოვნით მიმართა, რაზეც იქვე მიიღო თანხმობა, რომ პრობლემა მოგვარდება. ასევე დასვა საკითხი, მეტი ყურადღება მიექცეს შენობაში არსებულ წიგნებს. კულტურის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ მას იქვე მიაწოდა ინფორმაცია, რომ უახლოეს ხანებში სასოფლო ბიბლიოთეკები სკოლებს გადაეცემათ.

პროექტის წარმატება კიდევ ერთხელ აღიარა თავის სიტყვაში ლიზა კრავეიშვილმა: "დიდი მადლობა, დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ პროექტმა გაამართლა. მადლობა იმისთვისაც, ჩვენს ზრუნვას თქვენდამი ასე რომ აფასებთ. ბატონი ალეკო ბოცვაძე მართლაც ძალიან დიდი მონდომებით გამოირჩევა, გასაკეთებელი კვლავ ბევრია, მაგრამ ჩვენ თქვენთან ერთად უმთავრესი პრიორიტეტები გამოვყავით. მადლობა ამ ლამაზი ღონისძიების ავტორებს, ბავშვები სოფლიდან გაუსვლელად აქვე ღებულობენ მუსიკალურ განათლებას და ეს ამ სოფლის დიდ მუსიკალურ ტრადიციებზე მიუთითებს. დღედაღამ თქვენზე ვფიქრობთ, მჯერა, ყველანი ერთად გავაძლიერებთ ჩვენს სოფლებს და ჩვენს ქვეყანას". _ განაცხადა ქალბატონმა ლიზამ.

კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე:

"ეს დღე ადასტურებს ამ შესანიშნავი პროექტის წარმატებას. ვფიქრობ, ეს ბრწყინვალე ინიციატივა იყო, მისი განხორციელებაც შესანიშნავად მოხდა. ამაღლებული განწყობა გვაქვს. ხალხს სურს სიახლოვე, ჩახუტება და მოფერება. ვფიქრობ, სწორედ ამ მიზანს ემსახურება ეს პროექტი. მივესალმები მას. პროექტის მსვლელობა, ალბათ, 2016 წელსაც გაგრძელდება."

ულამაზესი ქართული ჰანგები აჟღერდა ღონისძიების ბოლოს, სასოფლო კლუბების გამგეებმა: ჭოგნარი (მადონა მხსილაძე), ოფეთი (მაგული ზაქრაძე), ტოლები (გულნაზ ეცადეიშვილი), ეწერი (ნანა წივწივაძე), ნაბაკევი (მადონა ჩომახიძე), ხუნჯულაური (მანანა გაბადაძე), ღანირი (ლია არუსია, რამაზ გვალია), გამოჩინებული (ელენე თევზაძე) და "ათინათელებმა" მასპინძლებთან ერთად ამ პროექტის ჰიმნად ქცეული სიმღერა "თუ გინდა სითბო და ნუგეში" შეასრულეს. ფინალურ აკორდად კი ხელისუფლებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა ერთობლივი ცეკვა იქცა. მომავალი გაჩერება სავარაუდოდ სოფელი ეწერია...

# "დიგაში" მეთერთმეტე საჯარო სკოლის 1² კლასის ვარსკვლავი აინთო

ნინო ნანიტაშვილი

***დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და საბავშვო მწერლის, იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მე-11 საჯარო სკოლის 1² კლასის ხელმძღვანელმა ირინა ჯანელიძემ თავის აღსაზრდელებთან ერთად მხიარული სტარტები მოაწყო. ორიგინალური რომ ყოფილიყო, დაწყებითი კლასების ჰედავოგმა თავის 26 აღსაზრდელთან ერთად მშობლიური სკოლის კედლები დატოვა და ღონისძიების ჩასატარებლად "დიგას" მიაშურა.***

რამდენიმე თვის წინ სამტრედიაში, ნინოშვილის ქუჩის 43 ნომერში სწორედ ამ სახელწოდებით ბავშვთა გასართობი ცენტრი გაიხსნა, რომლის მიმართ ლტოლვა დღეს უკვე არაერთ პატარას გააჩნია. ვინაიდან შენობის ექსტერიერი თვალისმომჭრელად და მიმზიდველად გამოიყურება ფერად-ფერადი წარწერებითა და ტკბილი, გამაგრილებელი სასმელის, "ჰეპსის" უზარმაზარი სარეკლამო ბანერით, ეზოში "ნატახტარის" ქოლგებით. 23 ოქტომბერს მე-11 საჯარო სკოლის 1² კლასის ინტერესში კი არაჩვეულებრივად ლამაზ ბავშვურ გარემოში სპორტული ღონისძიებების გამართვა იყო.

კლასის ხელმძღვანელმა ჯგუფი ორ ნაწილად გაყო: აირჩიეს კაპიტნები. "ნაპერწკალის" კაპიტანი ამირან ბახტაძე, ხოლო "მერცხალის" _ ლუკა ხარაული. ბავშვთა გასართობი ცენტრის ანიმატორმა, ნატა ხუჭუამ მონაწილეებს სპორტული აქტივობები შესთავაზა. პირველკლასელები ძალიან აქტიურები იყვნენ, მილებში გაძრომისას, ბაგირის გადაზიდვისას, ტომრებით ხტომისას, ბურთების შეგროვების და პირამიდების დაწყობის დროს. ბუფეტზე ხტომისას, ფაზლების აწყობისას, ბურთის გადანაწილებისა და გარბენზე შეჯიბრისას. ხან ერთი გუნდი იმარჯვებდა, ხანაც _ მეორე. მხიარულმა სტარტებმა პატარებთან ერთად იქ მყოფი მშობლებიც გაახალისა. პირველკლასელებმა გულიანად იცინეს, როცა უფროსების კონკურსში თოკზე ჩამოკიდებული ვაშლების შეჭმის მცდელობას თავიანთი დედების მონაწილეობით ხედავდნენ. მხიარული სტარტების ბოლოს სიტყვა კლასის ხელმძღვანელმა ითხოვა. ირინა ჯანელიძემ პირველკლასელებს მოლოდინი "გაუმტყუნა": როცა ჯერი გამარჯვებულის დასახელებაზე მიდგა, მათმა პირველმა მასწავლებელმა ასე გამოაცხადა: "დღევანდელი სპორტული შეჯიბრის გამარჯვებული ორივე გუნდია. დღეს მეგობრობამ გაიმარჯვა. ჩემი სურვილი თავიდანვე ასე იყო, ვინაიდან მხიარული სტარტების მიზანი ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის გამოვლენაა. დღეს ჩემმა აღსაზრდელებმა გამოავლინეს სისხარტე, სიყოჩაღე, რაც დადებითად აისახება პირველკლასელთა ბეჯით სწავლაში. გამარჯვებულებს პრიზის გარეშე ვერ დავტოვებ. ეს პრიზი სპექტაკლი იქნება, რომლის სანახავად ქალაქ ქუთაისში, თოჯინების თეატრში ერთად გავემგზავრებით".

მე-11 საჯარო სკოლის პირველკლასელებს და მათ მშობლებს მიესალმა და საინტერესო შეთავაზებით მიმართა ექიმმა სტომატოლოგმა ქეთევან პაპავამ, "ქეით დენტის" დამფუძნებელმა. ცნობისთვის, სამტრედიის სინამდვილეში პირველი კერძო კლინიკა გახსნის დღიდანვე შეფობას უწევს ბავშვთა გასართობ ცენტრ "დიგას". რაც გამოიხატება იმაში, რომ "ქეით დენტი" "დიგას" ყველა იუბილარს 50 პროცენტიან ფასდაკლებას სთავაზობს 1 წლის განმავლობაში.

23 ოქტომბერს ბავშვთა გასართობმა ცენტრმა მე-11 საჯარო სკოლის 1² კლასს სიურპრიზი გაუკეთა: ფეიერვერკის ფონზე ვარსკვლავი გაუხსნა.

# 85 წლის მემატიანეს გადმოსახედიდან

თეა ბაბუნაშვილი

**რადგან "სამტრედიის მაცნე" თქვენიცაა, ჩვენიცაა და მთელი სამტრედიის, ყველას კიდევ ერთხელ გილოცავთ მის 85 წლისთავს.**

**განსაკუთრებით კი ის გვახარებდა, თანაც გვეამაყებოდა, რომ მის იუბილეს საკუთარი დაბადების დღესავით ჩვენ გვილოცავდნენ. ამ სიამაყის უდიდეს, ამასთანავე სასიამოვნო პასუხისმგებლობას მუდამდღე ვგრძნობთ.**

მოგვილოცეს!

რედაქციაში გვეწვია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა საიუბილეო ტორტით და კეთილი სურვილებით. გამგებელი ვალერი ფოცხვერია, მისი მოადგილე ლიზა კრავეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, მოადგილე კობა ძიძიგური, კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე, სხვა ბევრთან ერთად პროფესიულ წარმატებებს და წინსვლას გვისურვებდნენ. "სამტრედიის მაცნეს" 85 წლის მატიანეს მნიშვნელობასა და როლზე საუბრობდნენ

სამტრედიის ყოველდღიურობაში.

სადღეგრძელოდ შეისვა ცქრიალა ღვინო, დაილოცეს უკვე ფუძედ ქცეულ რედაქციის შენობაში.

მერე დარბაზი. საიუბილეო საღამო, რომელზეც განსაკუთრებული მონდომებით ვთქვით ჩვენი სათქმელი. გულწრფელები ვიყავით, ეს რა თქმა უნდა! კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ჩვენი გაზეთის ისტორია, "სოციალისტურ შეტევას" მოყოლებული "წინსვლა" და დღევანდელი "მაცნეელობა". უფროს-უმცროსობის, პასუხისმგებლობის, პროფესიის სიყვარულის სკოლა, ანუ "სამტრედიის მაცნე" წარსულის ფესვზე ამოსული ნერგია და სამომავლო ყლორტად ახალ თაობას უკვე იკრებს მის ირგვლივ.

თუმცა ყოველთვის ასე იყო. ერთია ის ადამიანები, მის არსებობას რომ ახანგრძლივებენ და ზოგი მათგანი უკვე აღარ არის ამ ქვეყნად, განსაკუთრებულად გახლდნენ ნაზიარები საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, მკითხველთან სუფთა სინდისით თანაცხოვრების ხელოვნებას. ვაჟა ნიკოლეიშვილი, ანზორ გრიგოლია, შოთა მაღლაკელიძე, ოთარ ნაფეტვარიძე, ზოია კალანდაძე _ ეს გახლავთ გვარ-სახელები დღემდე სიყვარულით და პატივისცემით რომ ვიხსენებთ, ადამიანები, ეპოქა რომ შექმნეს ამ გაზეთში. მათი ხსოვნა უფლებას არ გვაძლევს მკითხველთან არაობიექტურობით შევცოდოთ.

იმ დღეს კი დარბაზში ისხდნენ კორნელი ჩიხლაძე და რომან ბექაია. ადამიანები, გაზეთში ეპოქის შემქმნელთა რიგებიდან. მათ ყველაზე მეტად ეამაყებათ "სამტრედიის მაცნე" და მისი წარმატებები. ყოფილი ჟურნალისტები არ არსებობენ და ბატონ კორნელის დღესაც აწვალებს კალმის ნოსტალგია. რა თქმა უნდა, კვლავაც ეთმობა გაზეთის გვერდები მის გამოგზავნილ სტროფებს. რომან ბექაიას, მის მიერ 45 წლის მანძილზე შექმნილი ფოტოარქივით სამტრედიელები დიდხანს ვერ დაივიწყებენ.

ღონისძიებაზე, რომელიც მე, გაზეთის გამომშვებ რედაქტორს და ძალიან ნიჭიერ, ერუდირებულ და ყველასთვის საყვარელ შოთა პაპავას მიგვყავდა, ალბათ არც თუ ურიგოდ, რადგან ბევრი თბილი ფრაზა, გულწრფელი სიტყვა დავიმსახურეთ. და ვინ თუ არა ჩვენ, განსაკუთრებით ვიცით ამ სითბოს ფასი და ჭეშმარიტ გრძნობებს კარგად ვასხვავებთ ხელოვნურისგან. ამიტომ კმაყოფილები დავრჩით საზოგადოების ემოციებით, ნასიამოვნები მისი სიყვარულით გაზეთისადმი. ადამიანებმა, რომლებიც წლებია გულშემატკივრებად, მეგობრებად მოჰყვებიან გაზეთს, მაყვალა კანდელაკმა, ნათელა გელეიშვილმა, დემურ ღაღანიძემ, ისიდორე ჯანელიძემ, ლიანა გეგეშიძემ თავიანთ გამოსვლებში დაადასტურეს კიდეც მათი დამოკიდებულება. რადგან ღონისძიების რეგლამენტი მეტის საშუალებას არ გვაძლევდა, არაერთმა დარბაზში მსხდომთაგან პირად საუბარში გამოხატა რედაქციისა და რედკოლეგიისადმი სითბო და პატივისცემა. ერთ-ერთი მათგანი პოეტი მაყვალა ჩირგაძე გახლდათ, რომელიც ჩვენთან შინაურია, მისი მეგობრობა "სამტრედიის მაცნესთან" წლებს ითვლის. არაერთხელ გაულამაზებია და გაუმდიდრებია მის ლექსებს მკითხველის პოეტური შთაგონება.

დარბაზში ისხდნენ ადამიანები, რომელთაც დღემდე ეამაყებათ ჩვენი გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტობა და ამის დამადასტურებელი მოწმობა ახლაც საპატიო ფურცელია მათთვის. ისინი ბორის კახიანი, ანტონ გეგეშიძე და იორამ ნიკოლეიშვილი არიან.

რედაქციაში მოლოცვას არ დასჯერდა და რაიონის ხელისუფლება, გამგებელი ვალერი ფოცხვერია დარბაზში მკითხველებთან ერთად მიესალმა გაზეთს. მოგვეფერნენ კოლეგები, სამტრედიის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი სოფო კირთაძე და გაზეთ "ხონის" რედაქტორი, მაია ფეიქრიშვილი. საჭიროდ ჩავთვალეთ, მეზობელი რაიონიდან ჩამოსული კოლეგის გამოსვლა ცალკე წერილად შემოგთავაზოთ.

გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, ქეთევან ჭელიძემ თავის მისასალმებელ სიტყვაში ისაუბრა კიდეც დარბაზის გულწრფელობაზე და მადლობა გადაუხადა მკითხველებს, გაზეთის მეგობრებს, კოლეგებს ამგვარი გულშემატკივრობისთვის. პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა, არა მარტო დღევანდელობას, წარსულსაც გადასწვდა თავის გამოსვლაში. უფრო ვრცლად და მისთვის ჩვეული იუმორითაც ისაუბრა "სამტრედიის მაცნესა" და მასთან დაკავშირებულ ყველა ნიუანსზე. გალაკტიონზე მიძღვნილი მურმან ლებანიძის ცნობილი ლექსით შეეხმიანა საზეიმო საღამოს ჟურნალისტი ნათია ნაცვლიშვილი. იმ დღეს საზოგადოების გადაღლას მოვერიდეთ და სცენარით გათვალისწინებულ მის მისასალმებელ სიტყვას იუბილარი გაზეთის ფურცლებიდან გაგაცნობთ. საბოლოო სიტყვა შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა, ბეჟან გოგიამ თქვა.

საიუბილეო საღამოს მუსიკალურად გაფორმების პატივი "ლადის" ერგო, ჯგუფს, რომელიც "სამტრედიის მაცნესთან" ასოცირდება და რომელმაც ამ გაზეთს მშობლიურ სამტრედიასთან ერთად ევროპაში სულ ცოტა ხნის წინ გაუთქვა სახელი.

შავ-თეთრი ფირები მონიტორზე გარდასულ დღეთა ქორონიკონს აცოცხლებდა. მერე დროის ამბავთა თხრობამ ისინიც ისე გააფერადა, როგორც "წინსვლის" შავ-თეთრი ფურცლები "მაცნეელობამ". იმ დარბაზში ყველაფერზე ვისაუბრეთ, ბრძოლით და შრომით, თავდადებით დღემდე მოტანილ გამოცემაზე, გავიხსენეთ დრო, როცა სამოქალაქო ომით ორად გაყოფილი "ქართული თავისუფლება" ძმაზე სამტროდ გადაკიდებულ ძმას ტყვიას უშენდა. გამოკეტილ ადმინისტრაციულ სახლში მხოლოდ გაზეთის რედაქცია მუშაობდა და ახალი ნომრით ხვდებოდა კიდევ ერთ დღეს ჩაბნელებულ, გაყინულ, მოშიებულ დღეთა განრიგში. გავიხსენეთ, როგორ ვიბრძოლეთ დასახურად განწირული გაზეთი გადაგვერჩინა. თურმე, მუზები ყოველთვის არ დუმან ზარბაზნების ქუხილის დროს.

ღიმილით საკუთარ თავზე ვისაუბრეთ. უფრო სწორად, მკითხველს მსუბუქად მოვუთხრეთ ჩვენი საძნელო დღის რეჟიმი.

და ტაში კიდევ ერთხელ დაუკრეს თქვენს, ჩვენს, ყველას გაზეთს. რომლის იუბილეზეც შევკრიბეთ საზოგადოება და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კიდევ არაერთხელ შევკრიბოთ მისი მკითხველები ჩვენ და მათ, ვინც ჩვენს შემდეგ გააგრძელებს ამ ესტაფეტას.

"სამტრედიის მაცნემ" კვლავ იტვირთა მემატიანის, მშობლიურობის ტვირთი. მისი გვერდები ისევ არაერთხელ აჭრელდება ობიექტურობის, პრობლემების აღმოსაფხვრელი გზების, წარმატებების ამსახველი წერილებით. იგი კვლავაც თქვენი ერთგული მეგზური იქნება რაიონის ყოველდღიურობაში 85 წლის გადმოსახედიდან. ეს კი ჩვენი, ანუ იმ ადამიანების უდიდესი პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის ხარჯზე, ვინც დღეს "მაცნეელებად" მოვიაზრებით. ჩვენ ამას ვგრძნობთ და დიდი სიფრთხილით ვეკიდებით.

# ისინი, "სამტრედიის მაცნეს" მკითხველთა ჯგუფის წევრობა ჰომ ბრალდებათ

**თეა ბაბუნაშვილი**

ამ წერილთან ერთად, ამავე ნომერში იმ ადამიანის სტატიასაც შემოგთავაზებთ, ვისზეც აქ გვექნება საუბარი. მისი ნააზრევი ერთგვარი მილოცვაც არის იუბილარი გაზეთისადმი კახა ნადირაძისგან. იგი ჩვენი ერთგული მკითხველია. იმდენად ერთგული, რომ სოციალურ ქსელში ''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველთა კლუბი ჩამოაყალიბა. რედაქციაში ხშირად გვსტუმრობსთქო, ვერ გეტყვით, ესეც მისი მოკრძალების გამო, ყოველთვის მორიდებულია, როცა სხვადასხვა საკითხზე კომენტარს ვთხოვთ.

ამ საიუბილეო დღეებში გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გავცნობოდით მკითხველთა კლუბს ჩვენც და გაგვეცნო მათთვისაც, ვინც ჯერ კიდევ არ არის მისი წევრი. ამიტომ გვერდის ადმინისტრატორს, კახა ნადირაძეს ვესაუბრეთ. მან კი გვითხრა, რომ სოციალურ სივრცეში ამ გვერდის გახსნა ჯერ კიდევ მაშინ გადაწყვიტა, როცა გაზეთს მსგავსი გვერდი არ ჰქონდა. მისი ელექტრონული ვერსია საიტზე www.samtredia.com.ge _ ზე იდებოდა. ''მინდოდა, სოციალურ სივრცეში ამ ფორმითაც ყოფილიყო, ასე ვთქვათ, ხსენება ჩემი გაზეთის. ჩემს ირგვლივ ბევრი ადამიანია ''სამტრედიის მაცნეს'' მკითხველი. ვიცოდი, რომ მას არა მარტო სამტრედიაში კითხულობდნენ. ამიტომ, გადავწყვიტე იმ ადამიანების თანამედროვე ფორმით გაერთიანება, ვინც ამ გაზეთით განსაკუთრებით დაინტერესებულია. ამ გვერდზე, რომელიც იმიტომ შეიქმნა, რომ გვემსჯელა და გვესაუბრა გაზეთში განხილულ საკითხებზე, ვდებთ ელექტრონულ ვერსიასაც. ასე მსჯელობას ერთგვარი ფორუმის სახე ექნება.''

კახა ნადირაძე და როგორც თავად ამბობს, მის ნაცნობ მკითხველთა წრე, თვლიან, რომ გაზეთი ყოველთვის ეხმაურება რაიონის ყოველდღიურობას. ხშირად ცალკეულ მასალასაც კი დებენ ფეისბუქ-გვერდზე, რომ თემა მსჯელობისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს.

კლუბს ჯერჯერობით მხოლოდ 170 წევრი ჰყავს, მაგრამ კახა ნადირაძესთან ერთად ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ მათი რიცხვი გაიზრდება. ''ვიცი, რომ ამ გაზეთს ძალიან ბევრი ადამიანი კითხულობს და ელოდება ნომრიდან ნომრამდე. თუმცა, არაერთი მათგანი თავს იკავებს სოციალურ ქსელში საკუთარი აზრის დაფიქსირებისგან, არა მხოლოდ თქვენს გაზეთთან მიმართებაში, არამედ ზოგადად. საჯარო სივრცეში წერას განსაკუთრებული კულტურაც სჭირდება და პასუხისმგებლობაც ახლავს. გრამატიკული შეცდომებით და მახინჯი ნაწერი არ დადო ჯობია. ხშირად ხდება, რომ სოლის დასრულების შემდეგ აზრის წერილობით გადმოცემა არ დასჭირვებია ზოგიერთს. ზეპირ მეტყველებაში კი ყველაფერი გაცილებით ადვილია. ამიტომ უშუალოდ გვერდზე პოსტის დაწერას ერიდებიან. ამის მაგალითად მოვიყვან თქვენს პოსტს, რომლითაც მკითხველებს გაზეთის საიუბილეო დღეებში გამოხმაურებას სთხოვდით. თითქმის არავინ გამოგხმაურებიათ, თუმცა, დამერწმუნეთ, სათქმელს უშუალო საუბარში ბევრი გეტყოდათ. თუმცა, ეს მხოლოდ კეთილი სურვილებით მოლოცვა და საქებარი სიტყვები იქნებოდა მთელი კოლექტივის მისამართით.'' '' _ მბობს გვერდის ადმინისტრატორი კახა ნადირაძე. ვფიქრობთ, სუბიექტურიც არის ჩვენი რესპონდენტი, მაგრამ გვიმტკიცებს, რომ ამას არა სუბიექტურობა, არამედ, საზოგადოების დამოკიდებულება ალაპარაკებს.

დაბოლოს, მადლობა კახა ნადირაძეს და ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველს ერთგულებისათვის. ჩვენ კი, ჩვენ თქვენთან ვართ კეთილ ამბავთა, პრობლემების, ობიექტურობის მაცნე!

# ბეჭდური მედიის თანამედროვეობის ნიშა

## *(წერილი დაწერილია გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" 85 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით)*

ძვირფასო მეგობრებო, ''მაცნეელებო'', ''მაცნეს'' ერთგულო მკითხველებო, გილოცავთ ყველასათვის საყვარელი და კომპეტენტური გაზეთის _ ''სამტრედიის მაცნეს'' 85 წლის იუბილეს! დაე, საუკუნეების მანძილზე ეხმიანებოდეს ჩვენი ჭაღარა გაზეთი ჩვენს მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მკითხველის ინტერესებს, მის გულისნადებს და სურვილებს!

ძვირფასო ''მაცნეელებო'', გისურვებთ კიდევ მრავალი ათეული წელიწადის მანძილზე წარმატებით გეკეთებინოთ ესოდენ საპასუხისმგებლო საქმე, რასაც გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' შექმნა, მომზადება და კეთება ჰქვია!

ძვირფასო მკითხველო, გარდა საიუბილეო თარიღის მოლოცვისა, ასევე გვამოძრავებს სურვილი, ორიოდ სიტყვით შევეხოთ ზოგადად ბეჭდური მედიის თანამედროვე ზოგად პრობლემატიკას და გამოწვევებს, ასევე იმ ნიშას, რომელსაც თავისი წარმატებული მოღვაწეობის უზრუნველსაყოფად უნდა იჭერდეს პრესა.

კარგად მოგეხსენებათ, რომ გაზეთი მკითხველის გარეშე ვერ იარსებებს. მაშ, რა საშუალებები და ''მარკეტინგული ხრიკები'' უნდა გამოიყენოს გაზეთის მენეჯერულმა რგოლმა მკითხველის მოზიდვისა და გაზეთის რენტაბელობის (შემოსავლიანობის, მომგებიანობის) გასაზრდელად? ჩვენ მიგვაჩნია, რომ არავითარი! დიახ, რადგანაც სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ორი მძიმე ერთმანეთს გადაჯაჭვული მიზეზი (მკითხველის მოზიდვა ნიშნავს გაყიდვების და შესაბამისად _ რენტაბელობის ზრდას,) შობს შედეგს _ გაზეთის ''გაყვითლებას''. შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა: ნუთუ გაზეთი არ უნდა იყოს მკითხველის ინტერესებს მორგებული და მკითხველზე ორიენტირებული?!

ჩვენს დროში, იხრება პრესის ტენდენციები იქითკენ, რომ საზოგადოებას პრესა რაიმე ჯანსაღ, ავანგარდულ აზრებს და იდეებს კი არ აწვდიდეს, არამედ საზოგადოებას ''იჩვევდეს'' და კვებავდეს რედაქციის მოსაზრებებით, ჭეშმარიტი თუ შეთხზული სკანდალური ამბებით, მკითხველი ხდებოდეს მასზე დამოკიდებული... და ''წარმატებული მარკეტინგიც'' გარანტირებულია! თანამედროვე ბეჭდური მედიის საშუალებები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მზად არიან საზოგადოების გარკვეული ფენები ჩაითრიონ არასაზოგადო თემების განხილვაში, ასევე მოახდინონ საზოგადოების პოლიტიზირება (ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოებას თანამედროვე ცვივილიზაციების მიღწევები გააცნონ და მათ ათვისებაში დაეხმარონ,), რადგან ეს თემა, მუდმივად სადავო, ბუნდოვანი, გაურკვეველი და გადაუჭრელია. ამ თემაზე დაუსრულებლად შესაძლებელია წეროს მავანმა გაზეთმა ათასი ტყეილ-მართალი და ხსენებული წარმატებული მარკეტინგიც სახეზეა მზარდი და სტაბილური გაყიდვებით. ამჯერად არ ვთვლით საჭიროდ, მოვიყვანოთ სხვადასხვა გაზეთის ფასების ზრდის დინამიკა, მათი დაარსებიდან დღემდე.

ახლა კი დავუბრუნდეთ ზემოთ დასმულ რიტორიკულ შეკითხვას: ნუთუ გაზეთი არ უნდა იყოს მკითხველის ინტერესებს მორგებული და მკითხველზე ორიენტირებული?! დიახ, უნდა იყოს და აქვე გვსურს ჩვენეული, შესაძლოა, ოდნავ იდეალისტური ხედვაც გაგიზიაროთ ამ საკითხთან დაკავშირებით: გაზეთი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს გულთადი და კეთილგანწყობილი საკუთარი მკითხველის მიმართ და ეს მისი ღირსების და ეთიკის საკითხია, რამეთუ თავისუფალი სიტყვის გავრცელების პრინციპებიდან გამომდინარე, მას მსგავს საკანონმდებლო ნორმებში ვერ მოვაქცევთ. ამასთანავე, გაზეთი უნდა იყოს, რაც შეიძლება ავანგარდული სიახლეებით დატვირთული, გარკვეული სარგებლის და შედეგის მომცემი თავისი მკითხველისთვის. მის კითხვაზე დახარჯული დრო და მისი შეძენისას გადახდილი ფული მკითხველს ფუჭად დაკარგული კი არ ეგონოს, ან მის კიდევ უფრო დამძიმებას და დეგრადირებას კი არ იწვევდეს, არამედ კმაყოფილებას სძენდეს მას (აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი პროფილის არჩევის შემდეგ, ნებისმიერი გაზეთი, ღირსეულ კონკურენციას გაუწევს მედიაბაზარზე არსებულ სხვა მასმედიის საშუალებებს).

ჩვენს დროში მსგავსი გაზეთის ერთერთ ნიმუშად, თამამად და ამაყად შეგვიძლია დავასახელოთ ''სამტრედიის მაცნე''.

ბეჭდური მედიის ერთ-ერთი თანამედროვე პრობლემა, შესაძლებელია იყოს სხვა მედიასაშუალებების კონკურენცია, რაც გამოიხატება შემდეგში: მასმედიის ისეთი საშუალება, როგორიცაა ტელეხედვა, საკმაოდ გაძლიერდა ჩვენს დროში და მან მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა არა მარტო პრესა, არამედ თავისივე ერთგვარი წინაპარიც _ რადიო. მაგრამ ამ უკანასკნელის მაგალითზევე შესაძლებელია, მყარად ვიყოთ დარწმუნებული იმაში, რომ ტელევიზიასა და სხვა მედიასაშუალებებს შორის, სულაც არ მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. უბრალოდ რადიომ, მაგალითად, შეიცვალა მაუწყებლობის სეგმენტი და ორიენტირებული გახდა ძირითადად ტრანსპორტის მომხმარებლებზე. ასევე, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა პრესის საჭიროების თემაზე დასმული იჭვნეული კითხვები.

მაშ, რა ნიშა შეუძლია დაიჭიროს პრესამ ისეთი, რომელსაც ვერასდროს შეავსებს მასობრივი მედიის (მათ შორის ელექტრონული მედიის) სხვა საშუალებები?

ჩვენი აზრით, ეს გახლავთ საავტორო, შემოქმედებითი (არამხოლოდ მხატვრული) და ინტელექტუალური ღირებულებების მხარდაჭერა. ასევე, მნიშვნელოვანია პრესის ინტერაქტიურობა და გახსნილობა.

ყველა, ვინც თანამედროვე მასმედიის საშუალებების საქმიანობას აკვირდება, დაინახავს, რომ მათში საავტორო გადაცემის შექმნა, საზოგადოებისთვის სასარგებლო ნებისმიერ თემაზე, უზომო და არათანაბარი კონკურენციის გამო, თითქმის შეუძლებელია. მათ შორის სოციალურ თემატიკაზეც კი, რომელსაც თითქოს კანონი უზრუნველყოფს. ყოველივე ზემოთქმული, გამონაკლისის სახით, დაუბრკოლებლად შესაძლებელია მხოლოდ ბეჭდური მედიის საშუალებებში.

აქვე, ორიოდ სიტყვით უნდა შევეხოთ ელექტრონული მედიის მსგავს შესაძლებლობებს, მაგრამ ჩვენი დროისათვის, მიუხედავად საკმაოდ გამართული კანონმდებლობისა, ჯერ კიდევ არ არის საკმარისად უზრუნველყოფილი საავტორო უფლებების მყარი და გარანტირებული დაცვა და ეს უკანასკნელი ამ შესაძლებლობებში პრესას ნამდვილად ვერ შეეცილება.

დიახ, მიგვაჩნია, რომ თანამედროვე გამოწვევა ბეჭდური მედიისა არის სწორედ საკუთარი, მეტად მნიშვნელოვანი ადგილის პოვნა საზოგადოების ცხოვრებაში და მისი ღიაობა და გახსნილობა, მისაწვდომობა და ახლოს დგომა საზოგადოებასთან და მის საჭიროებებთან. სწორედ ეს უზრუნველყოფს მის თვითმყოფადობას და სიცოცხლისუნარიანობას საბაზრო ეკონომიკისა და გაცხარებული საინფორმაციო კონკურენციის პირობებში. სწორედ ეს შეიძლება იყოს კეთილსინდისიერად გადაჭრილი მენეჯერული დილემა.

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთ თქმული, მხოლოდ ჩვენი მოსაზრებებია პრესის საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს, ყველაფერი ეს, უკლებლივ ახასიათებს ჩვენს იუბილარ, მხცოვან ''სამტრედიის მაცნეს'' და სწორედ ამიტომ, _ ვართ კეთილი სურვილებით მისდამი, ვართ ამაყი მისით, ვაფასებთ და პატივს ვცემთ მას.

***პატივისცემით კახა ნადირაძე***

***მკითხველი; აგე "სამტრედიის საზოგადოება ძღვარადი განვითარებისთვის" ადმასრულებელი დირექტორი***

**P.S. ავტორი მადლიერებით მიიღებს წერილთან დაკავშირებულ ყველა შენიშვნას.**

## ჩვენი გაზეთი იუბილარია

''სამტრედიის მაცნე'' ოთხმოცდახუთი წლისაა. ეს მთელი ეპოქაა ისტორიისთვის, რომელიც ჩვენმა გაზეთმა განვლო.

ჩვენი რაიონის გამოჩენილი ადამიანები, ნიჭიერი ჟურნალისტები, პროფესიონალურად უდგანან მას მხარში მიუხედავად მრავალი სირთულისა და ისტორიული კატაკლიზმებისა _ ომისა თუ რეპრესიებისა დროს. არასდროს შეწყვეტილა ბეჭდვითი სიტყვის მაჯისცემა, ჩვენს ქალაქში არასდროს მოგვნატრებია სიმართლე საზოგადოებას, მისი თუნდაც გაყვითლებული ისტორიის ფურცლებიდან. ამიტომაც გვეამაყება ჩვენი გაზეთი.

ნიჭიერმა ადამიანებმა იგი, როგორც ფლაგმანი დროშა, ისე ატარეს და დღევანდელ თაობას გადმოულოცეს, დღეს კოლექტივი მონოლითურად, ღირსეულად აგრძელებს დიდ ტრადიციებს. აქვთ სიახლეებიც და მჯერა, მათი ნიჭის მეშვეობით არასოდეს გახდება ე. წ. ''ყვითელი პრესის'' ნაწილი...

გისურვებთ შემოქმედებით წარმატებებს მთელ კოლექტივს ბეჟან გოგიას ხელმძღვანელობითა და ზრუნვით. ნიჭიერი ჟურნალისტების მთელ პლეადას _ ქეთევან ჭელიძეს, ლევან გაბეჩავას, ნათია ნაცვლიშვილს, თეა ბაბუნაშვილს, ნინო ნანიტაშვილს და სხვებს.

***პატივისცემით ძერაპ ჩაჩავა***

## მილოცვა

ვულოცავთ გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' სახელოვან და სამაგალითო კოლექტივს 85 წლის იუბილეს, ერთ-ერთია რაიონში, სადაც თანამშრომლებს შორის კოლეგიალობა უმაღლეს დონეზეა აყვანილი, დაცულია ურთიერთპატივისცემა თანამშრომლებს შორის მიუხედავად ასაკისა, რაც კოლექტივის წინსვლისა და ავტორიტეტის საწინდარია, რითაც რაიონში არსებული სამსახურები ვერ დაიკვეხნიან.

გისურვებთ წარმატებებს!

***პატივისცემით შექრი ურუშაძე***

**ნათია ნაცვლიშვილი**

# „საკმაოდ ძველია საიმისოდ, ბრენდი ვუწოდოთ“...

ადმინისტრაციული სახლის მეორე სართულის ერთ კორიდორს საინტერესო სამყაროში შეჰყავხართ, სადაც პატარა ქალაქის მაჯისცემის შემტყობი, ჟურნალისტის სხარტ გონებაში გადახარშული, მისი მახვილი კალმით აღწერილი და პროფესიული ეთიკით ზურგგამაგრებული ამბები თეთრ ფურცელზე ლაგდება და საგაზეთო ფორმატით ივრება. 85 წლის „სამტრედიის მაცნეს“ რედაქციაც იმ რამდენიმე ინტელექტუალურ კუნძულს შორისაა, ჩვენს მუნიციპალიტეტში რომ არსებობენ. ქვეყნის ღირსეული შვილები, სამტრედიელნი თუ არასამტრედიელნი ხშირად გვსტუმრობენ, ხან წერილობით სათქმელს დააგდებენ, ხანაც რესპონდენტობას გვიწევენ. ეს კულტურული მისია უკვე რამდენიმე პოლიტიკურ ფორმაციაგამოვლილ გაზეთს არ დაუკარგავს. ხშირად ისიც უთქვამთ ჩვენთვის, თქვენმა გაზეთმა თავი ამოწურაო.

მართლაც, უამრავი გამოწვევა გვაქვს. რიტმაჩქარებულმა საუკუნემ მხოლოდ სოციალური ქსელების სახით გაუჩინა მძაფრი კონკურენტი ბეჭდურ მედიას. მედიალანდშაფტი საგრძნობლად შევიწროვდა, გაქრნენ პოპულარული გამოცემები, აჩქარებულ დროებას თითქოსდა მხოლოდ ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ინფორმაციაც ყოფნის და აკმაყოფილებს, კომპიუტერს მიჯაჭვულ თაობას აღარც სურს გაზეთის ხელში აღება, მაგრამ სკეპტიკოსების საპასუხოდ ვიტყვით, როგორც ზოგადად ქართულ პრესას, ისე ჩვენს გაზეთსაც აქვს მომავალი! პრესა ჯერ კიდევ არ არის მილევადი სეგმენტი და არც „სამტრედიის მაცნეს“ გასვლია ყავლი. როგორც იტყვიან, ყველა მოვლენას აქვს თავისი შინაგანი დრამატურგია. ჩვენი გუნდი მუშაობს იმისთვის, რომ არც ერთი ახალი ნიუსი თქვენამდე არ დარჩეს მოუტანელი. ეს არ არის მხოლოდ ნიუსის მაცნე გაზეთი. აქ აკადემიური წერილები იწერება.

წლების წინ, როცა გავრცელდა ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის გამოთქმა, მე ილიას, როგორც პოეტს არ ვიცნობო, მუხრან მაჭავარიანს ვკითხეთ: ხომ არ მოძველდა ილია-თქო? პოეტმა გვიპასუხა, ილია კი არა, ეკატერინე გაბაშვილი არ მოძველდება, ყველა მწერალს თავისი უნიკალური როლი და ადგილი აქვსო. ხალხოსან პოეტთან ჩვენი გამოცემის იდენტიფიცირებას არ ვახდენთ, უბრალოდ ვიტყვით, რომ ჩვენი გაზეთი ქართული ჟურნალისტური არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, ეს ბოლო ჯილდომაც დაადასტურა, რომელიც მას, როგორც წარმატებულ ლიდერ საწარმოს გადაეცა.

კვლავ გავიმეორებ სიტყვებს, 80 წლის იუბილეზე რომ ვთქვით, მალე ჩვენს გაზეთს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ეცნობებინოს მკითხველებისთვის-თქო. ჩვენი წილი ომი, რაც კალმით ქვეყნის ღირსეულ მსახურებას გულისხმობს, ჩვენც უნდა მოვიგოთ. ვუსურვებ ჩვენს გაზეთს, არასოდეს ასცდენოდეს ეპოქის ქარგას, არასოდეს გაუფერულდეს მისი სათქმელი. ღვინის სიძველე მხოლოდ მის ღირსებას განსაზღვრავს, ასეთ ღვინოს ბრენდს ეძახიან. ჩვენი გაზეთიც უკვე საკმაოდ ძველია საიმისოდ, ბრენდი ვუწოდოთ!

**ძვირფასო კოლეგებო, სამტრედიელებო!**

დიდი მოკრძალებითა და პატივისცემით მოგილოცავთ გაზეთის იუბილეს, 85 წლის „სამტრედიის მაცნეს“ ყოველი ახალი ნომრის გამოსვლას თქვენთან ერთად სიხარულით ველოდებით ჩვენც, ხონელები...

145 წლის ქალაქს 85 წლის გაზეთი აქვს. ეს ძალიან მრავლისმთქმელი ფაქტია. იდღეგრძელეთ ჩემო კოლეგებო, ძვირფასო სამტრედიელებო თქვენს მართალი სიტყვის მსახურ გაზეთთან და მუდამ მზიან ქალაქთან ერთად.

83 წლის გაზეთი „ხონი“ სახელოვან განვლილ იუბილეს გილოცავთ და დაგილოცავთ გზასავალს, რომელიც მართალია, ია-ვარდით მოფენილი არაა, მაგრამ მეტად საინტერესო და შთამბეჭდავია მთელი თავისი მრავალფეროვნებით, პრობლემატიკითა და რეალობით.

გაზეთის შესანიშნავ კოლექტივს, ჭეშმარიტ პროფესიონალებს, ნიჭიერ, კრეატიულ შემოქმედებით ჯგუფს გისურვებთ წარმატებებს და კიდევ წარმატებებს, ზღვა სიყვარულსა და სიხარულს, კეთილდღეობას, მზეგრძელობასა და დღეგრძელობას...

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა განსაკუთრებულად მოვეფერო ანსამბლ „ლადის“ თითოეულ წევრს, ჩემი დიდი პატივისცემა კიდევ ერთხელ დავადასტურო ბატონ ბეჟან გოგიას მიმართ, მივულოცო დამსახურებული აღიარება, დიდი გამარჯვება მათ და ვთქვა, რომ პრაღის საერთაშორისო ფესტივალზე „ლადის“ პირველი ადგილი ყველაზე დიდი საჩუქარია „სამტრედიის მაცნესა“ და საერთოდ ქალაქისათვის.

ნამდვილად ბარაქიანი შემოდგომა გიდგათ, ძვირფასო სამტრედიელებო. კიდევ ერთხელ გილოცავთ. უფალმა გაგვაძლიეროს და ერთურთი შეგვაყვაროს. „სამტრედიის მაცნეს“ გაუხუნარმა ფურცლებმა კი მრავალგზის განგვაცდევინოს მადლი სიკეთისა, ეშხი სიყვარულისა, ცრემლი სიხარულისა...

გაიხარეთ!

*სიყვარულითა და პატივისცემით გაზეთ „ხონის“*
*რედაქტორი მაია ფეიქრიშვილი*

**ბადრი ტონიას ოჯახის მილოცვა გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ _**

ვულოცავთ 85 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მარადიულ კეთილმაცნეობას _ მისი ერთგული მკითხველების გასახარად!

*მადლიერებით ზაირა გრიგოლია*

**მღელვარე გული**

***ვუძღვნი გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ რედაქციას 85 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ღმერთის გზით გევლოთ, ღვთისმშობელი იყოს თქვენი მფარველი.***

მღელვარებს გული, მღელვარება ახლა უხდება,
იგი ოცნების ბურუსს არღვევს სამარადისოდ,
მისი ფიქრები ლაჟვარდებად გარდაიქმნება,
რომ უკვდავების ცეცხლით ოდენ ლაღად აივსოს.
გაუშვით, ფიქრი უკან მოსდევს ფაფარაშლილი,
გულს განა ძალუძს, ყოველივე გაითავისოს,
არ გაუღვიძოთ სავალალოდ ხარბი აჩრდილი,
გზა სიყვარულის, სიძულვილით აღარ დანისლოს,
მღელვარებს გული, დაუბრუნეთ ყველა უფლება,
ფხიზელი თვალი არ დაჰკარგავს თავის საუნჯეს,
თუნდაც მოკალით, მზერა მისი არ გამუქდება,
არ დაობლდება, რაც დღეს გულში მზეს დააუნჯებს.
მღელვარებს გული, აფეთქებულ ცეცხლის ნაკადით,
ცაო, შენს მზერას ღელვა მისი შეემუქება,
დატყვევებული სიყვარულის უგონო დარდით
იგი მოკვდება და სიფხიზლედ გარდაიქმნება.

*დავით ჩირგაძე*

**„სამტრედიის მაცნე“ _ 85**

გაზეთი არის ქალაქის
ცხოვრების კარდიოგრამა,
ოთხმოცდახუთის გამხდარხართ,
გაახლეთ რადიოგრამა.
მრავალ თაობას უზიდავს,
ფხიზელი მზერის ჭაპანი,
არც არასოდეს შეგშლიათ,
ცხოვრების ანი და ბანი.
ბევრ ქარტეხილებს გაუძელთ,
ხალხს მუდამ ჰყავდით ნუგეშად,
ქალაქის ტკივილს, სიხარულს
თქვენ გულით გრძნობდით უთქმელად.
არც ცუდს მალავდით და არც კარგს,
თანაგრძნობებიც გითქვიათ,
ერზე მზრუნველის სახელი
სახალხოდ რომ გაგითქვიათ.
არის შედეგი ნიჭის და
დაუღალავი შრომისა,
თაობათა ცვლის, პროგრესის
უწყვეტი პაექრობისა.
ომები იყო გეკისრათ
აგიტატორის ფუნქცია,
სამშობლოს დროშა გეჭირათ,
ჰგმეთ, ვინც მტერს ზურგი აქცია.
შენება იყო _ ადიდეთ
კირითხუროთა მარჯვენა,
სპორტული გამარჯვებები,
აღმასვლა და აღმაფრენა.
ახალ თაობას გიპყრიათ
ახლა გაზეთის ალამი,
ეს „მაცნე“ ნაირფერია,
უფრო ლაღი და თამამი.
და კვლავ გილოცავთ კარგებო,
ოთხმოცდახუთი რა არის?
ოთხმოცდახუთჯერ გამართვა
მარად უშრეტი კალამის.
წინ დიდი ასპარეზია,
დიდი ბრძოლები მოგელით,
ეჰ, რა ხანია მამულის
გაბრწყინებას რომ მოველით!
და როცა საიბერიომ
დიდ ერებს ფეხი აუწყოს,
ეს სანუკვარი ამბავი
პირველმა „მაცნემ“ გვაუწყოს.

*აკაკი რუხაძე*

**ოთხმოცდახუთი წლის იუბილარ გაზეთს „სამტრედიის მაცნეს“**

**მე შენ მიყვარხარ!**

მე შენ მიყვარდი, დღესაც მიყვარხარ,
როგორც რომ სიმწრით ნაზარდი შვილი,
ვინ დაითვალოს შენთვის, შენს გამო
რა დღეები გვაქვს გადატანილი.
შენს ერთგულ მსახურს არ მიძებნია
სულ სხვა მანტია, სულ სხვა სამოსი,
ორმოცდახუთ წელს შენს გვერდით ვდგავარ,
ზუსტად ორი წლით შენზე უფროსი.
რა გზა გამოვვლეთ? _ რომ მახსენდება
ტანში გველნაკბენ კაცივით მზარავს,
შენ რომ გეცოცხლა, შენ რომ გებრძოლა,
მკითხველის გულში დაგედო ბინა.
...ზამთრის ღამეა, ყინავს და როფავს,
გაყინულია ლინოტიპები,
სტამბის მუშების გვერდით სკამზე ვთვლემთ,
ნერვებდაწყვეტით შუქს ველოდებით.
როდესაც დიდი ვაი-ვაგლახით
გაზეთი ხდება ხელმოსაწერი,
ზევიდან ზარი: _ „ეს ამოიღეთ,
თემა მონახეთ სხვა შესაფერი“.
დამკაბადონებლის ჩუმი გინება,
ლინოტიპისტის თვალებზე ცრემლი,
იქით მბეჭდავის დაცაცხანება:
_ დააყენოთო იქნებ საშველი.
გამთენიისას შინ რომ ვბრუნდები,
მეუღლე მწარე რეპლიკებს აცხობს,
დროს სად ატარებ, ვისთან ნებივრობ,
ოჯახს მიხედვა უნდაო, კაცო!
მერე ბიურო, მუშტი მაგიდას,
დიდხანს და დიდხანს კამათი ცხარე,
ჯიბეში წნევის წამალის ძებნა...
ნუ გამახსენებ, შენ გენაცვალე!
და მაინც, მაინც, ძალებს ვიკრებდით,
დღითა და ღამით აღარ გვეძინა,
შენ რომ გეცოცხლა, შენ რომ გებრძოლა
და ხალხის გულში დაგედო ბინა.
ახლა სულ სხვაა, თქმას სიმართლისას
არავინ კრძალავს, მიდი და წერე
ჩინოსანი თუ ამის ღირსია,
გინდა გაკიცხე, გინდა უმღერე.
მადლობელი ვარ, ავსა და კარგზე
მე შენ პირველად განდობდი სათქმელს:
შენით ვუწვდიდი ძმურად მუზას ხელს,
მისას ვუზღავდი მტერს და მოყვარეს.
ჩვენ თანადგომით გამოვვლეთ გზები,
გული შენს სითბოს ყოველთვის გრძნობდა,
რისი თქმა სურდა, ის რომ არ ეთქვა,
ალბათ, ნაღმივით აფეთქდებოდა.
დრო მისას ითხოვს, მე წამსვლელი ვარ,
მოვასწროთ უნდა! _ მომძახის გული
და შენ ფურცლებზე გაბნეულ ლექსებს
წიგნებად ვკინძავ ცრემლმორეული.
არ მინატრია სხვა ხვედრი, მენდე,
დამიმახსოვრე, მიყვარდი ძლიერ,
შენ კი მართალი სიტყვით იცოცხლე,
მრავალჟამიერ! მრავალჟამიერ!

**კორნელი ჩიხლაძე**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**დამსახურებული მასწავლებელი**

ერთი სკოლის ისტორიიდან

# დაუვიწყარი დღე

1955 წელს მშობლებმა ამიერკავკასიის რკინიგზის № 24-ე (ყოფილი ქალთა) საშუალო სკოლაში მიმიყვანეს სასწავლებლად. იმჟამად პირველი კლასის მასწავლებელი ქალბატონი ნადია ივანიაძე იყო რომელმაც იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ გვაზიარა. სკოლის დირექტორი გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ქალბატონი შუშანა ქართველიშვილი.

ერთ დღეს სკოლის დირექტორი გაკვეთილს დაესწრო. ნადია მასწავლებელმა მოწაფეებს საშინაო დავალება რომ გამოჰკითხა, შემდეგ ახალი გაკვეთილი ახსნა. როდესაც პედაგოგმა გაკვეთილის ახსნა დაასრულა, დირექტორმა მოსწავლეებს მიმართა, ახლად ახსნილი გაკვეთილიდან რა დაამახსოვრდათ და გაკვეთილის შინაარსს ვინ მოჰყვებოდა. როდესაც ბავშვებმა თავიანთი აზრი გამოხატეს, მან მადლობა გადაუხადა პედაგოგს, მოსწავლეებს, კმაყოფილმა დატოვა გაკვეთილი.

ვინ მოთვლის, რამდენ თაობას შეასწავლეს ანა-ბანა ნადია მასწავლებელმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა ქალბატონმა შუშანა ქართველიშვილმა. მიუხედავად ჩემი ასაკისა (67 წელი), ის დღე ჩემთვის დღემდე დაუვიწყარია. როგორი ინტერესი გამოიჩინა სკოლის დირექტორმა რომ გაეგო თუ როგორ ფლობდნენ მოწაფეები თავანკარა ქართულს.

აქვე მინდა მადლიერება გამოვხატო ქალბატონი ნათელა გელეიშვილის მიმართ, რომელმაც თავის წერილში ზედმიწევნით, მოწიწებით გამოხატა მასწავლებლისა და მოსწავლის დამოკიდებულება.

*მია ბოჭორიშვილი*

# ხანდაზმულებისა და ახალგაზრდების პაექრობა გრძელდება...

**ნათია ნაცვლიშვილი**

საქართველოს პენსიონერთა კავშირის სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ნინეზა გორდულაძე-ჩიტიშვილი და მისი მოადგილე ავთანდილ კაშია უკვე რამდენიმე წელია, რაც საინტერესო და სახალისო ტურნირის მასპინძლები არიან. ხანდაზმულთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყოველ შემოდგომაზე სამტრედიაში იმართება სარაიონო პირველობა ნარდში. წლევანდელმა ღონისძიებამ ფართო მასშტაბი მიიღო და იგი რაიონის ფარგლებს გასცდა. ჩვენს ტურნირში ჩაერთვნენ სტუმრები ქუთაისიდან, აბაშიდან და ხონიდან. მონაწილეთა რაოდენობამ წლეულს 56-ს მიაღწია. აქტიურობდნენ მანდილოსნებიც და მამაკაცებს ტოლს არ უდებდნენ. მათ შორის იყო ჩვენი კოლეგა, ნინო ნანიტაშვილი.

თამაში ოლიმპიური სისტემით წარიმართა, რამდენიმე დაძაბული წრის შემდეგ გამარჯვებული სამეული გამოიკვეთა: პირველ ადგილზე ქუთაისელი სტუმარი, ვეტერანი სპორტსმენი დუგლას კავთელიშვილი გავიდა, მეორე ადგილის მფლობელი მერაბ შეროზიაა, მესამე ადგილოსანი კი, რუსუდან ტრაპაიძე, ააიპ ''სახლი თანადგომას'' წამყვანი სპეციალისტი.

შესავალ სიტყვაში ქალბატონმა ნინეზა გორდულაძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების მხარდამჭერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას და აღნიშნა: ''ჩვენ ამ ჩემპიონატს ვუძღვნით ჩვენი რაიონის მკვიდრს, აწ გარდაცვლილი ბატონი რეზო შანიძის ხსოვნას. ის იყო შესანიშნავი ადამიანი, რომელიც ყოველთვის გახლდათ ამ შეჯიბრებების ორგანიზატორი. მადლობა მუნიციპალიტეტის გამგეობას, რომელმაც დაგვაფინანსა''.

''მოგესალმებით ბატონებო, საკმაოდ ბევრი მონაწილეა, ყველა ასაკის ადამიანს ვხედავ აქ. წლეულს ბევრია მოთამაშე, მეტი, ვიდრე იყო შარშან, მიხარია, რომ გავაერთიანეთ ამდენი ადამიანი. ჩვენი მიზანიც ესაა, მოვეფეროთ ჩვენს ასაკოვან წარმომადგენლებს უმცროსი თაობის წარმომადგენლები. გისურვებთ თითოეულ თქვენგანს წარმატებას''. _ მიმართა ტურნირის დაწყების წინ შეკრებილთ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ.

ასევე მიესალმა შეკრებილთ ქალბატონი დარეჯან ზოსიაშვილი, რომელიც ქუთაისის პენსიონერთა კავშირს წარმოადგენდა.

გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია და მისი მოადგილე კობა ძიძიგური თვალ-ყურს ადევნებდნენ დაძაბულ თამაშს. გამგებელმა თავადვე გადასცა პრიზები საპრიზო ადგილზე გასულ მოთამაშეებს. პირველ ადგილზე გასულს 100, მეორეზე და მესამე ადგილებზე გასულებს კი 50-50 ლარი გადაეცათ.

''რა ქნას კარგმა მონარდემაო'', წლეულს ფორტუნა შარშანდელ გამარჯვებულს, საკრებულოს წევრს, იმედა გოგავასაც შემოსწყრა, ის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტ აკაკი ჭანჭალეიშვილთან პაექრობაში დამარცხდა.

ჩემპიონატმა რამდენიმე სხვა ნომინანტიც გამოავლინა. ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშის ნომინაციაში ბექა მიქაძემ გაიმარჯვა, ყველაზე ხანდაზმულ მოთამაშედ _ ალექსანდრე ბანძავა დასახელდა, ხოლო, საპატიო სტუმრის ნომინაციაში ქალბატონმა დარეჯან ზოსიაშვილმა გაიმარჯვა.

ბატონმა ავთანდილ კაშიამ ''სამტრედიის მაცნეს'' განუცხადა: ''რესტორანმა ''ქალაქის გული'' (ბონდო ანჯაფარიძე) დააწესა პრიზი, რომელიც გადასცეს რეზო შანიძის შვილს, ვახტანგ შანიძეს. ამ დონის მასშტაბური ტურნირი ჯერ არ ჩატარებულა. სამტრედიაში, იყვნენ ხონიდან, აბაშიდან და ქუთაისიდან. ყველანი კმაყოფილნი დარჩნენ''.

კომპლექსური სპორტული სკოლის კოორდინატორი, ბატონი რამაზ თელია, რომელიც ტურნირის მთავარი მსაჯი იყო, კარგ შეფასებას აძლევს ამ ტურნირს. ''შესანიშნავად ითამაშეს ქალბატონებმა. სულ მცირედი დააკლდა გამარჯვებამდე ქალბატონ რუსუდან ტრაპაიძეს. სერიოზული ტურნირი გამოვიდა''.

ტურნირს ასევე მსაჯობდნენ მოთამაშე მსაჯი აკაკი დვალიშვილი და ნანი ძიძიგური.

თარიღი

## ''ღვაწლითა განდიდებული''

**ლევან გაბეჩავა**

მხოლოდ ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის მრავალრიცხოვნობით როდი გამოირჩევა დიდი ჯიხაიში. მრავლად შეიძლება იმ ღირსეულ მამულიშვილთა დასახელება, რომელთა აკვანიც ამ სოფელში დაირწა.

დიდ ჯიხაიშში, ყაზბეგის უბანში დაიბადა სახელგანთქმული პროფესორი, ტრიფონ ონისიმეს ძე რუხაძე 1910 წელს.

სრულიად ახალგაზრდა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლის დირექტორად დაინიშნა, ახლად დამთავრებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მაშინ.

მომდევნო წლებში ბატონი ტრიფონი მოღვაწეობას დედა უნივერსიტეტში აგრძელებს და მთელ სიცოცხლეს მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდას ახმარს.

ივანე ჯავახიშვილის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, კორნელი კეკელიძის ყოფილმა სტუდენტმა ჯერ საკანდიდატო, შემდეგ, 1962 წელს, სადოქტორო დისერტაცია წარმატებით დაიცვა და მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი ტრიფონ რუხაძე 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი გახლდათ.

სიცოცხლის ბოლომდე უახლოესი ურთიერთობა აკავშირებდა მას მშობლიურ სოფელ დიდ ჯიხაიშთან.

1977 წელს, როცა ასევე დიდ ჯიხაიშელ ცნობილ საბავშვო პოეტს, გიორგი კაჭახიძეს მშობლიურმა ყაზბეგის სკოლამ თურმე დაბადების 70 წლის იუბილე გადაუხადა, ცნობილ მწერლებთან, მეცნიერებთან ერთად სწვევია გიორგი კაჭახიძე ყაზბეგის უბანს, მის თანმხლებთა შორის, რაღა თქმა უნდა, პროფესორი ტრიფონ რუხაძეც ბრძანებულა, რომელიც ნასიამოვნები წასულა დედაქალაქში.

_ საოცრად უბრალო, კეთილი კაცი ბრძანდებოდა, თუკი გაიგებდა უნივერსიტეტში სამტრედიელი სწავლობდა, ცდილობდა, როგორმე მასთან კონტაქტი დაემყარებინა. დიდ ჯიხაიშელებისადმი კი განსაკუთრებულ ყურადღებას ამჟღავნებდა. _ იგონებდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ჩვენი გაზეთის აქტიურ თანამშრომელი და მეგობარი, ბატონი ჯემალ ლეჟავა.

ამ დღეებში 105 წელი სრულდება პროფესორ ტრიფონ რუხაძის დაბადებიდან. უეჭველია, უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრა თარიღს შესაბამისად აღნიშნავს. ბატონი ტრიფონი ხომ ამ კათედრის პროფესორი იყო გარდაცვალებამდე.

სასიამოვო იქნება, პროფესორის იუბილე მის მშობლიურ სოფელ დიდ ჯიხაიშშიც თუ აღინიშნება, თუ არა და...

დიდებული ადამიანები სწორედაც რომ არ იკარგებიან უძეგლოდ!

## დემურ მიქაძე - 73

ნაღდ სამტრედიელს, როგორც მას მეგობრები უწოდებენ, ''საკლასო გენერალსა'' და გენერლების გენერალს'' ბატონ დემურ მიქაძეს გულით ვულოცავთ 73 წლის შესრულებას. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს. ღმერთი ფარავდეს მას და მის ლამაზ ოჯახს.

პიროვნება, სამტრედიასა და სამტრედიელებზე უზომოდ შეყვარებული, კეთილშობილებითა და ყველა დადებითი ადამიანური თვისებით გამორჩეული. კაცის, რომელმაც ცხოვრების შეგნებული ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების სამსახურში გაატარა და როგორც იურიდიული, ასევე ცხოვრებისეული, დაუწერელი, მაგრამ საზოგადოებისათვის მისაღები კანონებისათვის არასოდეს უღალატნია.

1958 წელს იგი სამტრედიის ამიერკავკასიის რკინიგზის № 23 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ ეკონომიკურ, ხოლო შემდეგ იურიდიულ ფაკულტეტს ამთავრებს და მუშაობას მარნეულის რაიონში კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად იწყებს. მალე რაიონის ახალგაზრდობის თავკაცად კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად ნიშნავენ.

მარნეულში, ქართულად, აზერბაიჯანული მოსახლეობაა და მასაც მათთან საერთო ენის გამოძებნა არ გასჭირვებია. დასაქმებისთანავე აზერბაიჯანული ენის შესწავლას შეუდგა და სავსებით წარმატებითაც. ამით ის ამ კუთხის ხალხისათვის, სრულიად მისაღები ''კარდაში'' (ძმა) გახდა.

კომკავშირში მუშაობის დროს დემური წარმოჩინდა როგორც ხელმძღვანელი და ორგანიზებული ნიჭით გამორჩეული პიროვნება, რომელსაც ასევე მალე, პარტიის რაიკომის მესამე მდივნად ირჩევენ. აქედან კი, წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში წამყვანი თანამდებობები ეკავა. მათ შორის ბოლოს თბილისის სამმართველოს უფროსისა და მინისტრის მოადგილის პოსტები.

შინაგან საქმეთა ორგანოების ყოფილი მუშაკები ნუ გვიწყენენ და, ამ სამსახურის სპეციფიურობის გამო, იშვიათია პიროვნება, რომელიც საზოგადოებას ისე უყვარდეს, როგორც ბატონი დემური.

დიდია მისი სამეგობრო არეალი, რომელსაც საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი ადამიანები წარმოადგენენ. მათ შორის აღიარებული მეცნიერები, მშენებლები, ხელოვნებისა და სპორტის დამსახურებული, ღვაწლმოსილი თუ მოქმედი პიროვნებანი, თბილისელი მეწაღე თუ მეეზოვე, დილით სახლიდან გამოსულს, მისი კაცურკაცობისა თუ მათდამი ყურადღების გამო, პირჯვრის გადაწერითა და ლოცვით რომ ხვდებიან.

დემურის ცხოვრების წესი ცნობილი ოპერა ''ფიგაროს ქორწინებიდან'' ამონარიდს, ''ფიგარო აქეთ, ფიგარო იქეთ'' _ გვაგონებს, რამეთუ იგი საქართველოს ქალაქებისა და ცალკეული რეგიონების სამეგობრო-სახლობლოს ხშირი სტუმარია. ქუთაისელი ბაღის კიდელების მიერ გამართულ ზეიმშიც მონაწილეობს, ოზურგეთში ცნობილი მოქანდაკის, მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ხელოვანთა სახლის გახსნის საზეიმო ცერემონიალსაც ესწრება, ზესტაფონში საქართველოს სახელოვანი ადამიანების შეკრების მონაწილე თბილისის დელეგაციასაც ხელმძღვანელობს და ავსტრიაში მყოფი ბიზნეს-პარტნიორებთან მომავალ სამოქმედო გეგმებსაც სახავს. მასთან მობილურით დაკავშირება თითქმის შეუძლებელია. თუ გინდათ ბარათი აახლოთ, მისამართით ნუ დაინტერესდებით, პირდაპირ დაწერეთ: ''თბილისი _ დემურ მიქაძეს'' და სრული იმედი გქონდეთ, რომ გზავნილი ადრესატს დროულად ჩაბარდება.

ყველა სიკეთესთან ერთად დემური საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეულად ცნობილი თამადაცაა. მისი მჭერმეტყველებითა და სიტყვაკაზმულობით მოხიბლულმა იშვიათ შემთხვევაში, რომ სუფრა ვინმემ ნაადრევად დატოვოს.

ბატონი დემური მშობლიური სამტრედიისთვისაც გამორჩეული და პატივსაცემი პიროვნებაა. თითოეული ოჯახისთვის საპატიო და მისაღები სტუმარია, ამის საფუძველს, პირველ რიგში, ყოფილი თანაქალაქელთა მისი დიდი სიყვარული და პატივისცემა წარმოადგენს, რაც ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლემ, როგორც გამორჩეულმა ფეხბურთელმა, სამტრედიის ''ლოკომოტივის'' ძირითად შემადგენლობაში ტექნიკური თამაშით დაიმსახურა.

დღეს სამტრედიელთა ძველ თაობას არ გვიკვირს თანაქალაქელთა ჭირსა და ლხინში მისი გამოჩენა და თანადგომა.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოსა და ჩვენს ქალაქს ასეთი ღირსეული ადამიანები.

***სამტრედიელი მეგობრები***

# ქარვისფერი შემოდგომა სკოლის ეზოში მოიხმეს

ნათია ნაცვლიშვილი

***"ვიორგობის თვეში გულს გაუდის რეჩხი, ვინდ ყოფილხარ იმერეთში, ვინდა სამოთხეშინ", ბრძანა პოეტმა, სამოთხეს ჰგავდა იმ დღესაც იმერული სკოლის ეზო. მადლიანი შემოდგომის ბარაქა უხვად ეჭურა მე-2 საჯარო სკოლას. ეზოს კარი შეგაღეთ და... ქარვისფერი, ლაზათიანი შემოდგომა შემოგვეფეთა. ქუჩა-ქუჩა, შარა-შარა მონავარდე შემოდგომა სკოლის ეზოს არტახებში მოემწყვდიათ. თიბათვის მზე მძლავრობდა იმ დღეს, აჭერდა ძალუმად ეზოში გაშლილ ჩალასა და სიმინდს, ყვიდოებად გაფენილ სილამაზეს, თუხთუხებდა ქვაბში თათარა, ავლებდნენ ძაფზე ასხმულ თხილს, ჯერ კიდევ აუდულარი მაჭარი ავსებდა თასებს და ივსებოდა სიყვარულით და სილამაზით პატარების გულიც, იმ სიყვარულით ლოცავდნენ საშობლოს, მის ღირსეულ წარსულს, აწმყოსა და უკეთეს მომავალს.***

ყველა კლასმა საკუთარ მაგიდასთან მოიპატიჟა შემოდგომა, უხვად აელვარდა ხელხვავიანი ქართული შემოდგომის ბარაქა: მწიფე ხილი თუ იმერული სტუმართმოყვარეობისთვის საჭირო ათასი სხვა ატრიბუტი. იდეა, შემოდგომის ზეიმი მოეწყოთ სკოლის დირექტორს, თეა კარტოზიას ეკუთვნის. მოსწავლეებმა და პედაგოგებმა აიტაცეს ეს კარგი ინიციატივა. როცა შემოდგომის ზეიმის მოსაწვევი მივიღეთ, უკვე ვიცოდით, რომ რაღაც ძალიან საინტერესოს დაგვახვედრებდნენ მასპინძლები და არც შევმცდარვართ.

მხოლოდ გასტრონომიული სილამაზე რა სათქმელია, ანდა შემოდგომის ბუნების მრავალფეროვნების გაცოცხლება. შინაარსობრივადაც ძალზე შთამბეჭდავი სანახაობა შემოგვთავაზეს.

წამყვანები მე-11 კლასელი ზურა ხელაძე და მე-10 კლასელი მარიამ სხილეშელეიშვილი) შემოდგომის პეიზაჟები საკუთარი პატარა ხელებით შექმნეს და შემდეგ სტენდთან მიგვიპატიჟეს. მესამეკლასელებმა მხატვრულ ნომერში ცხოველებიც აალაპარაკეს, ღვინის და საღღეგრძელოების თემას შეეხნენ: ვინც 12 ჯამზე მეტს დალევს, ჩემსავით ტალახში გაგორდებაო, განაცხადა ღორის კოსტიუმში გამოწყობილმა ბიჭუნამ. მეოთხეკლასელებმა (დამრიგებელი მარინე ადეიშვილი) ცეკვა ქართული შესანიშნავად შეასრულეს. მათ აქვე ძალიან კარგად წარმოადგინეს კომპოზიცია _ გიორგი შატბერაშვილის "ხილთა ქება". სოლო სიმღერით წარსდგა მსმენელის წინაშე მე-2 კლასელი საბა ლეკვეიშვილი, მე-10 კლასელმა გოგონებმა აჭარულის, მთიულურის და ლეზგინკას ცეცხლოვანი პოპური შეასრულეს.

მეათეკლასელების ანგარიშზე იუმორისტული სკეტჩებია. (კლასის დამრიგებელი ვიოლეტა ვეკუა). მოსწავლეებმა იმერული იუმორი ცეცხლივით წაგვიკიდეს, გვაცინეს და გვამხიარულეს. მე-5 კლასელების (დამრიგებელი ხათუნა გიგინეიშვილი) მაგიდასთან ტკბილი თათარის სურნელი იდგა. მათი მომზადებული რეპერტუარი მართლაც დაამშვენა სიმღერამ "სამტრედია". მათ ასევე ბევრი ლამაზი მუსიკალური ნომერი შეასრულეს. განსაკუთრებული იყო მათი რაჭული ცეკვა. მე-6 კლასელები (დამრიგებელი ანა დარახველიძე) ორიგინალურები იყვნენ სადღეგრძელოების თქმაშიც. მე-7 კლასელები (დამრიგებელი ვერიკო ჯეჯელავა) ასევე ძალიან საინტერესო მხატვრული კომპოზიციით მოგვესალმნენ. მე-9 კლასელებმა (დამრიგებელი გულნარა ჯინჭარაძე) შესანიშნავი სიმღერების პოპური შემოგვთავაზეს. მუსიკალური ნომრებით წარსდგა მსმენელის წინაშე მე-10 კლასელი, მარიამ გრიგოლია.

ღონისძიების ბოლოს ჩეჩნური ლეზგინკას ცეცხლი დაანთეს ზურა ხელაძემ და ომარ ორმოცაძემ. ბიჭებმა კავკასიური არწივებივით იფრინეს და მართლაც დიდი სიამოვნება მიანიჭეს მაყურებელს.

ამ სასკოლო ღონისძიებათა ხშირმა სტუმარმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ და რესურსცენტრის იურისტმა, ლილი ფხაკაძემ მაღალი შეფასება მისცეს სასკოლო ზეიმს და მოსწავლეებს კიდევ არაერთი საინტერესო და წარმატებული პროექტის განხორციელება უსურვეს.

## "მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა შრიალი შენი დედაენისა"

ნათია ნაცვლიშვილი

***საუკეთესო ღონისძიებები _ ასე შეიძლება შეფასდეს მე-9 საჯარო სკოლაში იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 175 წლის იუბილესადმი მიძღვნილი რამდენიმე ღონისძიება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში სკოლაში დაწყებითების კათედრამ აქტივობები დაგეგმა. ჯერ კათედრის ხელმძღვანელის, პედაგოგ ლელა ჩხარტიშვილის და მისი სადამრიგებლო პირველი კლასის გაკვეთილზე მიგვიწვიეს.***

პირველ კლასში 8 მოსწავლეა, ერთადერთი გოგონა მარი შენგელიაა. მარი მალვინად, ხოლო მისი კლასელი ბიჭუნა გიორგი გოგინავა _ ბუერატინოდ გარდაისახნენ და შემდეგ ანბანის დალუქული კარი გააღეს. "გზად იავნანა დაფინეთ, ანბანი მობრძანდებაო". _ ბრძანეს პატარებმა და არაერთი ქება და სახოტბო ლექსი უძღვნეს სამ ღვათაებრივ საუნჯეთაგან ერთ-ერთს _ დედაენას, რომლის შრიალიც მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა.

პედაგოგმა პატარებს ისტორიული ეპოქა გაუცოცხლა, მეფე ფარნავაზის მიერ შექმნილი დამწერლობის შესახებ უამბო, იაკობ გოგებაშვილის "დედაენის" შექმნის ისტორიაც შეახსენა, თუ როგორ დაიწყო 35 წლის იაკობმა უნიკალური სახელმძღვანელოს შექმნა და როგორ დაასრულა ის 20 წლის შემდეგ. 1990 წლის 14 აპრილიდან "დედაენის" დღე აღინიშნება საქართველოში, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის მიერ შექმნილი "დედაენის" ძეგლი კი დედაქალაქს ამშვენებს ეს და მრავალი საინტერესო რამ ითქვა, გაკვეთილის კულმინაცია იყო "დედაენის" ფორმის ტორტი.

ყველა კლასში უკვე მოეწყოთ კალიგრაფიის კონკურსი, რომელმაც გამოავლინა საუკეთესო ნაშრომები, ისინი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაეგზავნება. ასევე მოეწყო ნახატების კონკურსი და კონკურსი მხატვრულ კითხვაში, კონკურსის ერთ-ერთი კომპონენტი პერსონაჟის გაცოცხლებაა.

მე-4 კლასის პედაგოგმა ლიანა ადეიშვილმა მიმოიხილა იაკობის ბიოგრაფია და მისი შესანიშნავი "დედაენის" ისტორია, ამ უშრეტი და მძლავრი საგანძურის მნიშვნელობაზე, ისაუბრა. შემდეგ მისმა მოწავლეებმა წაიკითხეს იაკობ გოგებაშვილის ლექსები და მოთხრობები. ასევე წარმოადგინეს თავიანთი შემოქმედება დაწყებითების პედაგოგების რუსუდან ჩხენკელის (მე-3 კლასის დამრიგებელი) და ნინო გოგიბერიძე-ჟორჟოლიანის (მე-2 კლასის დამრიგებელი) მოსწავლეებმა. მუსიკალური ნაწილი კი მუსიკის პედაგოგმა მარინე ჯაბიძე-შენგელიამ მოამზადა. საინტერესო ეპიზოდებს იაკობის მოთხრობებიდან შეასხეს ფრთები პატარებმა, და იაკობის ნაქადაგევი უშრეტი სიბრძნე, საუკუნეების განმავლობაში რომ არ გაუფერულდება და დაკარგავს მომხიბვლელობას, კიდევ ერთხელ შეგვახსენეს.

კვირეული კი კედლის გაზეთის გამოშვებით დააგვირგვინეს.

ღონისძიებები სკოლის დირექტორმა ლალი ჭანტურიამ შეაჯამა: "ეს კვირეული, რომელიც იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან არის დაკავშირებული, მეტად მნიშვნელოვანია. მოვიდა თუ არა სკოლაში დებულება, დაწყებითების კათედრის ყველა პედაგოგმა აიტაცა ინიციატივა. ძალიან კარგია, რომ ჩვენი ბავშვები კიდევ ერთხელ ეზიარნენ ამ უძვირფასეს საგანძურს. მადლობა პედაგოგებს, ბავშვებს და მშობლებს, რომ ღონისძიებას ასეთი ფართო მასშტაბი მიეცა. მოეწყო მხატვრული კითხვის, ხატვის, კალიგრაფიის კონკურსები, ასევე, მოხდა ნაწარმოებთა ინსცენირება. ჩვენი ბავშვების შემოქმედება დისკებზე გადავა და გაიგზავნება განათლების სამინისტროში. როგორიც არ უნდა იყოს შედეგი, ყველა შემთხვევაში იგი დადებითია, ეს ყველაფერი ბავშვებისათვის ძალიან სასარგებლოა. ისინი უკვე მიეჩვევნენ ჯგუფურ მუშაობას. მადლობა ყველას".

### გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეოდ

## საგალაკტიონო

1982 წელია. ზაფხული. ერთ დღეს საქწიგნის მაღაზიაში შევიარე. როგორც ყოველთვის, წიგნის მაღაზიის დირექტორი გურამ ერქვანიძე და ამ სფეროში მომუშავე ამაგდარი ქალბატონი ნუცა გაბელაია ყურადღებით შემხვდნენ. ახალი გამოცემებით დავინტერესდი. ქალბატონმა ნუცამ წიგნები მყისვე გადმომიწყო. ფართო არჩევანი მქონდა. რამდენიმე წიგნი შევიძინე, მათ შორის ნოდარ ტაბიძის _ გალაკტიონი. სახლში მოგვიანებით დაღლილი მივედი, მაგრამ გალაკტიონის კითხვა მაინც დავიწყე. როგორც ავტორი მიუთითებს, ეს წიგნი გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ადრეულ პერიოდს ეხება, აქამდე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებს, პოეტური განწყობის საიდუმლოს და შემოქმედებით ნიუანსებს.

როცა გალაკტიონის ლექსი სამტრედიაზე წავიკითხე, სიხარული ვერ დავფარე და ოჯახის წევრებსაც გავუზიარე. ყველაზე მოლულოდნელი მაინც ის იყო, რომ ამ ბუმბერაზ პოეტს სამტრედიისთვის საგალაკტიონოს დარქმევა უნდოდა, რაც სამტრედიასთან მისი სიახლოვით უნდა აიხსნას. გალაკტიონის ძმისშვილი ნოდარ ტაბიძე თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ "პოეტის ბავშვობის, ყრმობისა და სიჭაბუკის ხანა აღსავსეა ამ ქალაქთან დაკავშირებული შთაბეჭდილებებით და მძაფრი განცდებით".

გალაკტიონ ტაბიძეს ჩვენს ქალაქში არაერთი ლიტერატურული საღამო გაუმართავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან სამტრედიაში რკინიგზის, სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებამ, სამრეწველო საწარმოთა წარმოქმნამ, კულტურულ-საგანმანათლებლო კერების გამოცოცხლებამ, ინტელიგენციის აქტიურმა პოზიციამ და სხვა ფაქტორებმა განსაზღვრეს უკვე სახელმოხვეჭილი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის სურვილი, _ სამტრედიას საგალაკტიონო დარქმეოდა.

იმხანად, პარტიის სამტრედიის რაიკომის პირველი მდივანი თამაზ იმედაძე გახლდათ. ერთი სული მქონდა, ამის შესახებ როდის ვეტყოდი. როცა მასთან შეხვედრის შესაძლებლობა მომეცა, ვკითხე, ნოდარ ტაბიძის "გალაკტიონი" ხომ არ წაგიკითხავთ, ნახეთ, გალაკტიონის ლექსი სამტრედიაზე? ვიგრძენი, გაუკვირდა. სათქმელი უფრო გავამძაფრე, სურვილი ჰქონდა სამტრედიას საგალაკტიონო დარქმეოდა-მეთქი (ცოტა ნაშნისმოგებითაც გამომივიდა); ახლა კი მეხუმრებით, მითხრა, მაგრამ როცა თავად წაიკითხა, რა თქმა უნდა, გაიხარა და სტუმრებთან თავმოსაწონებელი თემაც ეს იყო.

იმ წუთებში უსაზღვროდ ბედნიერი და ამაყი ვიყავი და ალბათ, ყველა სამტრედიელი, ვინც გენიოსი პოეტის ლექსის მნიშვნელობა და არსი გაითავისა. სამტრედიის ენციკლოპედიას სწორედ ეს ლექსი აქვს წამძღვარებული:

"...პოეტებისთვის ჩემგან პირველად _
აღმოჩენილი ქალაქი-ლექსი!"

*ნათელა გელაშვილი*
*ძველი სამტრედიელი*

# "იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად"

მელაურის სკოლაში ყოველთვის მიგვიხარია, რადგან ორიგინალურ და საინტერესო ღონისძიებებზე გვეპატიჟებიან. ამჯერად კი სკოლის მესამეკლასელები არიან ჩვენი მასპინძლები, ქართველი კაცის ხელიხელსაგოგმანებელ საუნჯეს _ იაკობის "დედაენას" ეფერებიან პატარები. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით სკოლებში იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება ტარდება. სკოლაც გამოეხმაურა ამ ინიციატივას. პედაგოგ ნინო ჭანტურიას ხელმძღვანელობით მოსწავლეებმა საინტერესო ლიტერატურული სპექტაკლი წარმოადგინეს. ღონისძიების სახელწოდება იყო "იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად".

პატარებმა მიმოიხილეს იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფია, ისაუბრეს მის პედაგოგიურ ღვაწლზე, თქვეს, რომ ის იყო მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში და დიდი პუბლიცისტი, რომლის ნაწერებსაც არასოდეს გაუვა ყავლი. ამ პატრიოტი ქართველის ლექსზე "მოწვევა სწავლაზე" სიმღერაც ააჟღერეს პატარებმა. ამაში მათ მუსიკის პედაგოგი მერი ტკვაცირია დაეხმარა. ასევე მოაწყვეს მხატვრული კითხვის კონკურსი და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები წაიკითხეს. საგანგებოდ მოწვეულმა ჟიურიმ გამარჯვებულები გამოავლინა: კითხვის კონკურსში ანანო ერქვანიძემ გაიმარჯვა, ყველაზე პოეტური ქეთი გეგეშიძეა, ყველაზე სხარტი საბა ახობაძეა, ყველაზე არტისტული _ გია სიხარულიძე, საუკეთესო მეტყველებისათვის ანი ფოცხვერია დაჯილდოვდა.

სამადლობელი სიტყვა წარმოთქვეს სკოლის დირექტორმა ნინო ნიკოლეიშვილმა და სასწავლო ნაწილის გამგე ნინო ტალაბაძემ. იაკობ გოგებაშვილი, ბრწყინვალე კალმოსანი ვისაც ქართული ენის, ქართული მწიგნობრობის ღალატს შეატყობდა, მეხივით დაატყდებოდა თავს. ეს ნამდვილად არ ემუქრება მესამე კლასის მოსწავლეებს, რადგან წარმატებულად გაართვეს თავი დავალებას. _ განაცხადა პედაგოგმა ნინო ჭანტურიამ ჩვენთან საუბარში.

**ნათია ნაცვლიშვილი**

# მეოხ გვეყავ წმინდანო!

სიმდაბლე გამძვინვარებულ ლომსაც კი ქედს მოახრევინებს.

***

შინაგანი ტანჯვის გზით უნდა მიაღწიოს ადამიანმა რწმენამდე და მოიპოვოს სიყვარული.

***

ვაი, იმ ბერსა და მონაზონს, ვისაც თავისი ერის სატკივარი არ სტკივა..

***

ქრისტემ ლაზარე აღადგინა და ის გაუჭირდება, რომ მე აღმადგინოს? თქვენ ვერ დამინახავთ, მაგრამ ითხოვეთ ღვთისგან და ლოცვას არ დაგაკლებთ, რომ ღმერთი ყველას შეგეწიოთ.

***

ნუ შეგეშინდებათ, მთავარია, ანტიქრისტეს ბეჭედი არ დაიდოთ ხელსა და შუბლზე. ნურც იმ კაცის პურს შეჭამ, ვინც ნიშანი დაიდო.

***

მძიმე ჯვარს ატარებს კათოლიკოს-პატრიარქი, ვინც მას განიკითხავს, თავზე აგუზგუზებულ ნაკვერჩხლებს დაიყრის.

***

საჭმელზე მეტად ადამიანების სიყვარული უნდა გშიოდეს და ღვინოზე მეტად მათი სიყვარული უნდა გწყუროდეს...

***

ეს გახლავთ ნაწილი მამა გაბრიელის _ წმინდა გაბრიელ აღმსარებლის სწავლებათაგან.

მამა გაბრიელი _ ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე 1929 წლის 26 აგვისტოს თბილისში დაიბადა.

უყვარდა მოყვასი თვისი.

უყვარდა მრავალტანჯული ბერი ხალხს...

როცა მისი დაკრძალვის დღე დადგა, ანდერძისამებრ ჭილოფში გაახვიეს, საფლავში სათუთად ჩასვეს, მაგრამ მიწის მიყრა ვერავინ შეძლო.

ბოლოს ასეთი რამ მოისაზრეს, გაცრილი მიწა საფლავის კიდეებს ნელ-ნელა მიაყარეს და როცა მიწა მის ცხედარს ასცილდა, თვითონვე დაიწყო გადაფარება ნაზად და სათუთად, ისეთივე სიყვარულით ჩაიკრა გულში იმავე მიწის ერთგული შვილი, რა სიყვარულითაც უყვარდა მამა გაბრიელს თავისი სამშობლოს მიწა-წყალი.

ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ მამა გაბრიელი წმინდანად შერაცხა.

მეოხ გვეყავ, წმინდანო!

**ლევან გაბაჩავა**

# ახალბედა ჯუდოისტების წარმატება

2015 წლის 31 ოქტომბერსა და 1-ლ ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს კიოკუშინკაი კარატეს ჩემპიონატი 18 წლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის, რომლის ორგანიზატორი იყო "საქართველოს კიოკუშინკაი კარატე-დოს" ფედერაცია (ფედერაციის პრეზიდენტი სენსეი ანზორ ჩუბინიძე). მასში მონაწილეობას ღებულობდა 200-მდე სპორტსმენი საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი მიხეილ ქანთარია) კარატეს ჯგუფის წევრები.

გოგონათა შორის 50 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ახალბედა სპორტსმენმა (მისთვის ეს პირველი შეჯიბრი იყო) მარი გოგიტაურმა (სამტრედიის № 2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე. დირექტორი თეა კარტოზია, დამრიგებელი თამილა ასათიანი).

მესამე ადგილი ვაჟთა შორის დაიკავა თორნიკე გაგუამ. მეოთხე ადგილზე ახალბედა მურმან დერბიში გავიდა. ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით. ჩემპიონატს ესწრებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ბატონი ტარიელ ხეჩიკაშვილი. მან ბატონ ანზორ ჩუბინიძესთან ერთად დაჯილდოვების დროს სამახსოვრო სურათი გადაიღო ჩემპიონთან და სამტრედიის დროშასთან.

**სენსეი მიხეილ ქანთარია**

# დავალევინოთ თუ არა ბავშვებს პლასტმასის ბოთლებში ჩამოსხმული წყალი

თუ ადამიანი ხშირად სვამს წყალს

პლასტმასის ბოთლიდან, მას შაკიკი ემუქრება, რადგან ნივთიერება, რომელიც პლასტიკის შემადგენლობაში შედის, ამ თვალსაზრისით სახიფათოა

კანზასის უნივერსიტეტის მეცნიერები გვირჩევენ, უარი ვთქვათ პლასტმასის ბოთლებისა და კონტეინერების გამოყენებაზე, ასევე მიკროტალღუ ღუმელში საკვების გაცხელებაზე.

აღმოჩნდა, რომ ახალი საკვების მიღებისას, რომელიც ხელოვნური მასალებისგან დამზადებულ ჭურჭელში არ შენახულა, მხოლოდ სამ დღეში 66% ით მცირდება შარდში ბისფენოლის შემცველობა.

ასეთი სტრატეგია შაკიკის შეტევების სიხშირესა და სიმწვავესაც შეამცირებს. ბისფენოლ A-ს ეფექტს მეცნიერები ვირთხების მაგალითზ აკვირდებოდნენ. მათ ნახევარს სამი დღის განმავლობაში აძლევდნენ ამ ნაერთს. ბისფენოლის განსაზღვრული დოზის შეყვანიდან ერთი საათის შემდე ვირთხები ხდებოდნენ პასიურები, გაურბოდნენ ხმაურს და კაშკაშა სინათლეს, ადვილად ფრთხებოდნენ და ახდენდნენ თავის მიდამოს მომატებულ მგრძნობელობის დემონსტრირებას.

ყველა ეს სიმპტომი შაკიკისთვის არის დამახასიათებელი, საერთო ჯამში, მღრღნელების ტვინის მდგომარეობა ესტროგენების მოზღვავეაზ მეტყველებდა. ცნობილია, რომ შაკიკი ხშირად არის შეჭიდული ამ ქალური სასქესო ჰორმონის დონის გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან.

სწორედ ბისფენოლი A ახდენს ესტროგენების მოქმედების იმიტაციას, უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო წარმოებაში ბისფენოლ A-ს გამოყენება უკ აიკრძალა ევროკავშირის ქვეყნებში, კანადასა და ჩინეთში.

მაცნე
სამტრედიის



# ნატურმორტის ისტორიიდან

ნატურმორტმა ფერწერაში თავისი დამოუკიდებელი სახე მე-17 საუკუნეში მიიღო. მას შემდეგ მრავალმა ცნობილმა მხატვარმა გამოიჩინა თავი ხელოვნების ამ სფეროში. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვა ნატურმორტმა ჰოლანდიურ და ფლამანდურ ფერწერაში, შემდეგ _ ევროპის სხვა ქვეყნების ხელოვნებაში. მის საერთო აღიარებამდე, ანტიკური და ახალი დროის ცალკეული მხატვრები საგნების გამოსახვისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ.

თანამედროვე ნატურმორტს ღრმად აქვს გადგმული ფესვები უძველეს წარსულში. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-5 საუკუნის ათენის ფერწერაზე მოთხრობილი აქვს პლინიუს "ბუნებრივი ისტორიის" წიგნში. მისი გადმოცემით, ათენში შეიქმნა თხზულება ჩიტებზე, რომლებიც კენკავდნენ ვიღაცის მიერ დახატულ ყურძენს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ძველად ფერწერაში მეფობდა განსაცვიფრებელი მსგავსება სინამდვილესთან.

ბერძნებმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4-3 საუკუნეებში დაიწყეს ნამდვილი ნატურმორტების შექმნა, მაგრამ იმ შორეული ეპოქის წიაღიდან არც ერთი ნატურმორტი არ შემორჩენილა. ბერძნულ ფერწერაში საგნები გვხვდება ვაზის მოხატულობაში.

ნატურმორტის შექმნამდე ბერძნებმა დაიწყეს სურათებში მთელი რიგი საგნების გაერთიანება, რომლებიც წინათ ასრულებდნენ მეცნიერების, სპორტის, თეატრის ატრიბუტების როლს. ეს იყო იარაღები, საწერი საშუალებანი, ნიღბები. ხატავდნენ აგრეთვე სურსათს და უწოდებდნენ "ქსენიონს", რაც ნიშნავს საჩუქარს სტუმართმოყვარეობის აღსანიშნავად. "ქსენიონზე" გამოხატული იყო პური, ნამცხვრები, ბოსტნეული, ხილი, კვერცხები, თევზები და ნანადირევი.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1-ლ საუკუნეში, როდესაც ნატურმორტი კედლის მოხატულობის შემადგენელი ნაწილი გახდა კედელზე ან ფანჯარასთან დახატული ლარნაკი თითქოს ცვლიდა რეალურს, რომელიც შესაძლოა, ამავე ადგილზე ყოფილიყო მოთავსებული. ნატურმორტი დეკორაციის ფუნქციებს ასრულებს და დეკორატიულობის ნიშნებს ატარებს.

ნატურმორტი, ჩაფიქრებული, როგორც სურათის იმიტაცია კედელზე, ანტიკური ცივილიზაციის დაღუპვასთან ერთად ქრება. თუმცა, რომაულ მოზაიკებში კიდევ დიდხანს იყო შემორჩენილი საგნების, ბოსტნეულის, ხილით სავსე კალათის და ნანადირევისაგან შემდგარი დეკორატიული მოტივი.

იტალიურ ნატურმორტში რელიეფი ხშირად იმიტირებულია ფერწერული საშუალებით. მისი იმიტაციური ხასიათი განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ადრეული აღორძინების ხანის ვენეციელი მხატვრის ვარლო კრიველის შემოქმედებაში.

ნატურმორტის სკოლის ცენტრალური ფიგურაა ცნობილი ამერიკელი მხატვარი უილიამ ხარნეტი (1848-1892). მისი ნამუშევრების ნახევარი თითქმის დაკარგულია, მაგრამ მაინც შემორჩა ბევრი სურათი. თავის დროზე ხარნეტი დიდი გავლენით სარგებლობდა, მისი იდეები ფართოდ ვრცელდებოდა. იგი ავტორია ნახატისა "მაღალი საზოგადოების კლუბი". ეს ნატურმორტი დაწერილია ყავისფერ და ნარინჯისფერ-ყვითელ ტონებში, რომელიც ნათლად გამოიყოფა თეთრი მარმარილოს მაგიდის ზედაპირზე.

ხარნეტი უმწიკვლო რეალიზმით ასახავს ყოველ საგანს. მის გარდა ვერც ერთმა ამერიკელმა მხატვარმა ვერ შეძლო საგნები ასეთი პლასტიკურობითა და ოსტატობით გამოესახა.

მე-19 საუკუნის ხელოვნებაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა ნატურმორტის სიუჟეტურ მასალას. გამოსახავდნენ მდიდარ, იშვიათ და არაჩვეულებრივ ნივთებს. ხარნეტის სიყვარული უბრალო ნივთებისადმი ჩანს მის ნაწარმოებში "ოქროს ნალი". ეს ნალი არაჩვეულებრივად დიდი ზომისაა. იგი აღიქმება, როგორც ბედნიერების სიმბოლო და ამასთან ერთად გამოხატავს ადამიანის დამოკიდებულებას უსულო საგნების სამყაროსთან.

თუ ხარნეტი მაგიდის ზედაპირზე განლაგებული ნატურმორტის გამოსახვის ოსტატად ითვლება, მისი უმცროსი თანამედროვე რიჩარდ გუდვინი (1840-1910) მონადირეთა სახლების კარების გამოსახვის ოსტატია. _ "მონადირის სახლის კარი".

გუდვინის ერთ-ერთი საყვარელი კომპოზიციური ფორმულაა _ კარებზე მხატვრულ უწესრიგობაში ჩამოკიდებული საგნები.

ხარნეტის მდიდრული მწვანე კარებისაგან განსხვავებით, გუდვინის კარი უბრალოა, შეუღებავი, დროთა განმავლობაში დაძველებული, უბრალო, დაჟანგული ურდულით.

ნატურმორტს ჩვენს დროშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს დღევანდელ გაუკუღმართებულ და ბნელ დროში მის სათანადოდ შემფასებლებს შესაძლებლობა არ აქვთ, შეიძინონ ესა თუ ის ტილო, სურათი, ალბომი და წიგნიც კი.

*ირაკლი გრიგოლია*

## გიორგი დუნდუას გახსენება

ძმაო, გიორგი, ბრძენს უთქვამს: "სცთების და სცთების სიკვდილსა, ვინ არ მოელის წამისად"-ო. უძლიერესი ტკივილი იყო ეს წამი, რომელიც უსასრულო სევდაში გადაიზარდა.

გულწრფელი ცრემლით დაგიტირა ერმა და ბერმა; ახალგაზრდამ და მოხუცმა. შენ ხომ მათ წინასწარ გადაუხადე მადლობა შენი უკანასკნელი სიტყვებით: ყველას დალოცვილს გტოვებთო.

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და უფალი ფარავდეთ შენს დალოცვილთ.

*ძმა ბესიკი, დეკი: ეკა და გულისკარლი*
*დუნდუები ოჯახებით*

ელექტროსამონტაჟო სამმართველოს ადმინისტრაცია და მუშა-მოსამსახურეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან თანამშრომლის

**ლურამუსან ნოდარის ძე გუმბერიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ დამწუხრებულ ოჯახს.

---

რევაზ კანდელაკი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის ახლობელი და მეზობელი

**ვალერი ახობაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ირა, ჯონდი, ლევან გაბეჩავები თანაუგრძნობენ გურამ და ვიოლა, თემურ ახობაძეებს შვილისა და ძმის

**ვალერის**

გარდაცვალების გამო.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური თანაუგრძნობს ლევან ახობაძეს

დედის, ქალბატონი

**ტატიანა ახობაძის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ელზა ცხვირავაშვილს

**სერგო კვანტალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ჩიქოვანის ქუჩის მეზობლები თანაუგრძნობენ კვანტალიანების ოჯახს

**სერგოს**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ მაყვალა თევზაძეს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

ბეჟან გოგია და თამაზ ნიკურაძე თანაუგრძნობენ დათო კეშელავას დედის, ქალბატონი

**მაყვალას**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები მწუხარებით იუწყებიან

**ლაზო გიორგაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გიორგაძეების ოჯახს.

---

გაზეთ სამტრედიის მაცნეს რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ ლევან ახობაძეს, დედის, ქალბატონი

**ტატიანა ახობაძის**

გარდაცვალების გამო.

---

## ჩვენო საყვარელო ირა მამიდა!

გავიდა უთქვენობის წელიწადი, რაც უფრო გადის დრო, მით მეტად მძაფრად ვგრძნობთ თქვენი არყოფნით გამოწვეულ ტკივილსა და სიცარიელეს. გვიყვარხართ, გვახსოვხართ, გვეძვირფასებით... გულით სათუთად შევინახავთ თქვენს წმინდა ხსოვნას.

*კახა, ნათია, ლევანი, ირაკლი*

---

## ანზორ გაგუას მონატრება

ჩვენო საყვარელო, ბედდამწვარო შვილო და შვილიშვილო, 29 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა. ჩვენო უჭკვიანესო და უგონიერესო, ჩვენო მესამე კურსის სტუდენტო ბიჭო, სად უნდა შეხვდე დაბადების დღეს. ეგება და ძმაკაცები გიხდიან თბილისში, რესტორანში. ვაი, შენს უბედურ ბებიას. შენ ხომ გიხაროდა ცხოვრება, გქონდა გეგმები დაწყობილი, გინდოდა ბიზნესის დაწყება, გინდოდა წარმატებები, როგორც პირად ცხოვრებაში ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ ვაი, რომ უკუღმა დატრიალდა ყველაფერი. ვერაგმა სიკვდილმა უნივერსიტეტის დამთავრებაც კი არ დაგაცალა და წამებში გამოგვაცალა შენი თავი ხელიდან. ვაი, მანამდე რატომ არ გაქრა შენი ბებია ამ ქვეყნიდან. მიკვირს, ანზორიკო, როგორ ვარ უშენოდ, ჩვენ ხომ სხვანაირი ბებია და შვილიშვილობა გვქონდა, შენ ხომ დედიკოს მეძახდი, ბებიკო! დედის სიყვარულთან გყავდი გატოლებული. გაგვაუბედურე და უშინაარსო გახადე ჩვენი ცხოვრება. გული მოუკალი შენს მამას, ძმაკაცებს, მეგობრებს, ახლობლებს, მთელ სოფელს. როგორ შეგეძლო ამ პატარა სულით ანგელოზ ადამიანს, ყველა ასაკის ადამიანთან საერთო ენის გამონახვა და ყველასთან უსაზღვრო სითბოს და სიყვარულის დათესვა. ყველგან დაგეძებ, ბებიკო, ხშირად ვიხედები ჭიშკრისკენ, ჩემი ლამაზი, კოხტა, ღიმილიანი, სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი ხომ არ მოდისმეთქი, მაგრამ ვაი, შენს უბედურ ბებიას, რომ ჭეშმარიტად არ იქცევა ეს ყველაფერი. ჩვენო საამაყო ანზორიკო, თვალცრემლიანი გილოცავთ შეუსრულებელ 23 წელს. იძინე მშვიდად იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

*შენი გაუბედურებული ოჯახი*

## ჩვენო ანზორიკო!

ცრემლიანი თვალებით გილოცავთ შეუსრულებელ 23 წელს. მოვალთ შენს საფლავთან და ვეამბორებით სურათებიდან მომღიმარ შენს ლამაზ სახეს და თვალებს, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

*მადონა მსხილაძე*

# სიგარეტის სუნისგან გათავისუფლების 6 საშუალება

თუ თქვენს ბინაში ბევრი მწეველი ცხოვრობს და გარშემო ყველაფერი სიგარეტის კვამლით არის გაჟღენთილი, შეიძლება, მარტივად და ეფექტურად გათავისუფლდეთ ამ უსიამოვნო სუნისგან.

### მიატოვეთ მოწევა!

ყველაზე გამართლებული გზა სიგარეტის სუნისგან გასათავისუფლებლად, მაგრამ რადგან ეს აქამდე ვერ შეძელით, ჩავთვალოთ, რომ თქვენთვის არაეფექტურია. არადა, რა სასიამოვნო იქნებოდა, არა მხოლოდ იმ ოთახის განიავება, სადაც იმყოფებით, არამედ საკუთარი სხეულისაც, რომელიც აუცილებლად გეტყოდათ: "დიდი მადლობა!"

### ბუნებრივი არომატები

ბუნება ყველაზე ეფექტურად უმკლავდება უცხო სუნს, სცადეთ, დააქუცმაცოთ ფორთოხლის კანი და მოათავსოთ ვაზაზე. მაქსიმალურად შთანთქავს სიგარეტის კვამლს ყავის მარცვლებიც.

### არომატული ეთერზეთები

მცირე ზომის ჭურჭელში მოათავსეთ ზღვის მარილი, დაუმატეთ 3-4 წვეთი ნებისმიერი მცენარის ან ხილის არომატიზირებული ეთერზეთი და დადგით თვალსაჩინო ადგილას. მართალია, მომზადებული მასა სრულად ვერ უზრუნველჰყოფს არასასიამოვნო სუნის გაქრობას, თუმცა ხელს შეუწყობს ჰაერის სასიამოვნო არომატით გაჯერებას.

### ძმარი

ნახევარი ჭიქა ვაშლის ძმარი გაზავეთ ერთი ჭიქა წყალში. შემდეგ ამ ნახავში დაასველეთ ტილო და გაწმინდეთ სახლში ყველა ავეჯი, ხალიჩები. შედეგით კმაყოფილი დარჩებით.

### ქიმია კვამლის წინააღმდეგ

ნახევარი ჭიქა ამიაკს შეურიეთ მეოთხედი ჭიქა საჭმელი სოდა და ამავე რაოდენობით ძმარი. მიღებული ხსნარი გახსენით სამ ლიტრ წყალში, შემდეგ გაწმინდეთ ყველაფერი ბინაში ამ ხსნარით, არ დაგავიწყდეთ ჭაღები, ფანჯრები და ხალიჩები. თუ გსურთ, რომ კარგი შედეგი მიიღოთ, ყოველ ჯერზე დაბინძურებული ხსნარი ხელახლა მოამზადეთ.

### სოდა

სოდის დახმარებით სიგარეტის სუნს აქრობენ იატაკზე. ამისთვის საჭიროა, რომ სოდა მთელს იატაკზე საკმაოდ სქელ ფენად მიმოფანტოთ და დატოვოთ ოცდაოთხი საათი, მეორე დღეს კი მტვერსასრუტით აიღოთ. სცადეთ ეს საშუალება რამდენჯერმე და შედეგით აუცილებლად კმაყოფილი დარჩებით.

### საპონი

საპონი არა მხოლოდ მიკრობებს უმკლავდება ეფექტურად, არამედ სუნსაც კარგად აქრობს. გახეხეთ ნებისმიერი საპონი და შეურიეთ რამდენიმე ჩაის კოვზს სოდაში. შემდეგ გაწმინდეთ სახლში ნივთები და ავეჯი მიღებული ხსნარით. გახსოვდეთ, რომ ზოგიერთ ნაჭერს სოდა აფუჭებს, ამიტომ წმენდისას ფრთხილად იყავით ხელოვნურ ქსოვილებთან.

Eva.ge

# ვილოცავთ!

### ნინო შარაშენიძესა და გიორგი პატარაიას

გილოცავთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლესა და მარადიულ სიყვარულს გისურვებთ.
გამრავლდით და გაიხარეთ!

*ბეჭან გოგია*

### მაია ნუცუბიძესა და გივი მურღულიას

გაბედნიერებას გილოცავთ, გაუხუნარ სიყვარულს, შვილთა სიმრავლეს გისურვებთ.

*"საქართველოს მაცნე"*

### ბატონ დავით ახობაძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე და იდღეგრძელე შენს საყვარელ ოჯახთან ერთად. ღმერთმა დიდხანს ნუ მოუშალოს შენს მეგობარ პაციენტებს შენი მზრუნველობა დათო ექიმო.

*მადლიერი პაციენტების სახელით*
*ლადო ნიკოლეიშვილი*

რედაქციის მისამართი:
საქართველო, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე
საქართველოს

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა